# საერთო გაზეთი

№31 (536) • 11 სექტემბერი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## გავრილოვის ღამე არა ბრეჟნევის შუადღე – ეს იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, რასაც ხელისუფლება დღემდე ვერ აძლევს შესაბამის კვალიფიკაციას




კოჰაბიტაცია – „ქართული ოცნების“ თავზე დაკიდული დამოკლეს მახვილი



როდის გაიგებენ ესენი, რომ თვითონ ეს „სირცხვილია“ სირცხვილი?

## ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს



ქალბატონო სალომე, ხომ არ გაილვიძა უკვე თქვენში უმადურობის სინდრომმა? დროზე მიხედეთ თავს, თორემ ეს ისეთი ავადმყოფობაა, რომელიც ადვილად არ იკურნება



## დანამდვილებით ვიცი, საქართველოს გარედან გაცემულია დავალება, რომ რუსთაველზე სისხლი უნდა დაიღვაროს

## „ნაციონალებო“, დაიმალეთ, მთავრობაში კაცები მოვიდნენ!



როგორც ჩანს, მთავარია, შენი ქვეყანა ისეთი გულწრფელი სიყვარულით გიყვარდეს, როგორც ირაკლი ღარიბაშვილს უყვარს, მერე კი ეს სიყვარული თვითონ წაგიყვანს სწორი გზით, თვითონ დაალაგებს და თვითონ მიუჩენს ყველაფერს თავის ადგილს...

## საქართველო – КГБ-ს მარადიული მძევალი



## რატომ გაანდეს რუსებმა სანდრას უდიდესი საიდუმლო?



# როდის გაიგებენ ესენი, რომ თვითონ ეს „სირცხვილია“ სირცხვილი?

## „სირცხვილიას“ წევრები პარლამენტის წინ მიხაილო სააკაშვილის და გიგა ბოკერიას სახელობის ფერმის დაარსებას აპირებენ?



— გვაგინა, გვაფურთხა, გაგვლახაო! — წიოკობენ აქცია „სირცხვილიას“ წევრები და პარლამენტარ ემზარ კვიციანის სამაგალითოდ დასჯას ითხოვენ, იმაზე კი არ ფიქრობენ, რომ, თუ შესაგინებელი ხარ, თუ შესაფურთხებელი ხარ, თუ გასალახი ხარ, შეგაგინებენ, შეგაფურთხებენ და გაგლახავენ კიდევაც, როგორც ეს 8 სექტემბერს პარლამენტის წინ მოხდა.

კაცს რომ მონას და მოღალატეს დაუძახებ, გაგლახავს, აბა, რას იზამს...

— ემზარ კვიციანი პარლამენტარია და მას თმენის ვალდებულება აქვსო, — სამართლებრივ ნორმებს იშველიებენ „სირცხვილიას“ წევრები.

კი, კვიციანი პარლამენტარია და თმენის ვალდებულება აქვს, მაგრამ თქვენ სინდისის ვალდებულება, ზრდილობის ვალდებულება, ადამიანურობის ვალდებულება საერთოდ არ გაქვთ, ჭინკებივით რომ მიცვივდებით ადამიანებს და შეურაცხყოფას რომ აყენებთ, თქვე მართლა სასირცხვილოებო და სამარცხვინოებო?

— სასირცხვილოები და სამარცხვინოები კი არა, გულანთებული ახალგაზრდები ვართ ჩვენ, პატრიოტები ვართ და ოკუპაციას ვებრძვითო, — შემოგვედავებიან, ალბათ, „გულანთებულები“.

ისემც თქვენ რა გითხარით, თქვე საბრალო ცრუპენტელებო.

მართლაც გულანთებულები, როცა დაინახეს, სინამდვილეში რა ხდებოდა იქ, დიდი ხანია წავიდნენ და უკან აღარ დაბრუნებულან (და არც დაბრუნდებიან...) თქვენ კი, ვინც 80 დღეა „გულანთებულობანას“ თამაშობთ, ნაცებისა და ევრონაცების მიერ დაქირავებული ჩვეულებრივი წვრილფეხა პროვოკატორები ხართ, ბოკერიების, უგულავების, ხოშტარიების, სამადაშვილების და სხვა მათი მსგავსი და მათი ჯუფთი პოლიტიკური ნაძირლების მონები ხართ და მათ დავალებებს ასრულებთ.

ეს არის სიმართლე და შორს არ არის ის დრო, როცა თქვენი მანჭვა-გრეხვით გაბეზრებული ქართველი ხალხი მოგადგებათ მანდ და გეტყვით: **დაახვიეთ აქედან!**

ქართველი ხალხის მოსვლამდე „პატრიოტთა ალიანსიდან“ ბეჟან გუნავა მოვარდა თავისი „ლაშქრით“ — სამი კაცით.

— რაზე შეწუხებულხართ, რა გნებავთ, რისთვის მოსულხართო? — ჰკითხეს მეგაფონით შეიარაღებულ გუნავას.

— რისთვის მოვედით და იმისთვის, რომ „ნაცმოძრაობა“, როგორც მეტასტაზი ამოვკვეთოთ და „ქართული ოცნებაც“ ზედ მივაყოლოთო, — თქვა გუნავამ და ეგრევე პოლიციის კორდონს დაეტაკა.

გუნავა დაიჭირეს და მისი სამი თანამებრძოლიც ზედ მიაყოლეს.




გუნავა, ძმაო, პოლიციასთან საჯაჯგუროდ მოხვედი შენ მანდ თუ „სირცხვილიასთვის“ ჭკუის სასწავლებლად?

80 დღეა პარლამენტის წინ „გულანთებულთა“ აქცია მიმდინარეობს, აქცია, რომელიც კარგა ხანია ხულიგნობაში გადაიზარდა, თუმცა პოლიცია ამ ხულიგნურ გამოხტომებს რატომღაც ყურადღებას არ აქცევს და მათ უსაფრთხოებას გულმოდგინედ იცავს.

ჯერჯერობით უცნობია, კიდევ რამდენ ხანს უნდა იდგნენ აქ ეს წვრილფეხა პროვოკატორები?

ისიც საკითხავია, რა უფლებით დგანან ესენი აქ ამდენი ხნის განმავლობაში — იჯარით აქვთ აღებული ეს ტერიტორია, ნაყიდი აქვთ თუ სააკაშვილმა აჩუქა?

„საერთო გაზეთმა“ ბევრჯერ თქვა და კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: თუ 20 ივნისს მომხდარი ამბავი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა იყო, ეს აქცია, რომელიც 80 დღეა მიმდინარეობს, ამ სახელმწიდო გადატრიალების მცდელობის გაგრძელებაა. ამ აქციის მონაწილეები 20 ივნისს დანთებული ცეცხლის შემნახველები არიან, რომ საჭირო მომენტში ამ ცეცხლიდან ახალი კოცონი აგიზგიზდეს.

8 სექტემბერს „სირცხვილიანელებმა“ პარლამენტთან ცხვრები მოდენეს.

დადის ხმები, რომ მომავალ კვირას ისინი აქ თხების, ინდაურების, ქათმების მოყვანასაც აპირებენ, შემდეგ კი ბოსტნის გაშენებაც აქვთ დაგეგმილი.

მერე აქ, ალბათ, პატარ-პატარა ქოხებსაც ჩადგამენ, ოჯახებს შექმნიან, გამრავლდებიან და ამ ადგილას, 9 აპრილის მსხვერპლთა მემორიალის გვერდით, მიხაილო სააკაშვილის და გიგა ბოკერიას სახელობის ფერმას დააარსებენ.

სანამ საქმე აქამდე არ მისულა, ქართულმა სახელმწიფომ იქნებ სამართლის და კანონის მიხედვით იმოქმედოს და ეს უმსგავსობა დროზე აღკვეთოს.

„საერთო გაზეთი“



„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აღლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# კოჰაბიტაცია – „ქართული ოცნების“ თავზე დაკიდული დამოკლეს მახვილი

**ვახტანგ ხარჩილავა:**

უტიფრობის, უზნეობის, უსირცხვილობის, ცინიზმის, თავხედობის ზეიმი – ასე შეიძლება შეფასდეს ის, რაც 6 სექტემბერს პარლამენტში გიორგი გახარიასთან შეხვედრისას ხდებოდა.

ეს არ იყო საპარლამენტო მოსმენა, ეს იყო სასამართლო, სადაც „ნაცმოძრაობამ“, ფსევდონიმით „ევროპული საქართველო“, ლინჩის წესით მოინდომა პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს გასწორებოდა და სახალხოდ და საჯაროდ ჩაექოლა იგი.

მთავარი ბრალმდებლის როლში გიგა ბოკერია მოგვევლინა. გიგა ბოკერია, „ნაცმოძრაობის“ გებელსი, „ნაცმოძრაობის“ მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულის მოთავე და თანამონაწილე, 2008 წლის ომის შავი ბუღალტერიის მთავარი ბუღალტერი, ადამიანების წამებაში ეჭვმიტანილი ჯალათი.

აი, ასეთი და ამნაირი გიგა ბოკერია და მისი სექტის წევრები საქმეს ურჩევდნენ გიორგი გახარიას და თავად სისხლის სამართლის დამნაშავეები სისხლის სამართლის დამნაშავეს უწოდებდნენ მას.

არ არის ეს უკიდურესი ცინიზმი და მთელი ქვეყნის აბუჩად აგდება?

გიორგი გახარიას ძალის გადამეტებაში სდებდნენ ბრალს იმ ფაშისტურ-კრიმინალური რეჟიმის წარმომადგენლები, რომლის დროსაც 150 ადამიანი ქუჩაში დახვრიტეს, 300 ადამიანი უგზო-უკვლოდ გააქრეს, 400 000 ადამიანი პრობაციონერად აქციეს, ათასობით ადამიანი აწამეს და დაასახიჩრეს.

აი, ამის გამკეთებლები, ამის შემოქმედები სხვას რომ რაღაცაში დაადანაშაულებენ, არ არის ეს გაუგონარი თავხედობა და უტიფრობა?

წარსულსაც რომ თავი დავანებოთ, მათ მიერ აკვიატებული და ხელზე დახვეული 20 ივნისის ტრაგიკული ღამე განა მათ მიერ არ არის პროვოცირებული?

ისინი არ აქეზებდნენ აქციის მონაწილეებს, პარლამენტში შეჭრილიყვნენ და ამ მიზნის განსახორციელებლად განა ოთხჯერ არ მიიტანეს შტურმი პარლამენტის შენობაზე და პოლიციელებზე, რომლებიც პერიმეტრს იცავდნენ?

– სიმართლე ჩვენს მხარეზეა და ჩვენ ამ სიმართლით ყოველდღე უნდა ვამხილოთ ისინიო, – ეს ბატონი გახარიას სიტყვებია.



შვიდი წელია, რაღაც ძალიან უცნაური ამბავი ხდება საქართველოში.

შვიდი წელია საქართველოში „ბრალმდებლებად“, „პროკურორებად“, „მსაჯულებად“, „მოსამართლეებად“, მორალისა და ზნეობის „მასწავლებლებად“, „პატრიოტებად“ გვევლინებიან სახელმწიფო დამნაშავეები, ქვეყნის გამყიდველები, კრიმინალები, ყაჩაღები, მკვლელები, ადამიანთა მწამებლები, მამაკაცთა გამაუპატიურებლები.

ყველამ იცის, რომ ეს ადამიანები დამნაშავეები არიან – იცის ეს მთავრობამ, იცის პარლამენტმა, იცის მედიამ, იცის ქვეყნის მთელმა მოსახლეობამ, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ესენი იქით მხარეს, გისოსებს მიღმა, საბრალდებო სკამებზე ან ციხეებში ისხდნენ, ისინი პარლამენტში სხედან და იქიდან გვმოძღვრავენ.

გიორგი გახარიას პრორუსულობაში ადანაშაულებდნენ იმ ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელმა ხელისუფლებამაც ფულზე გაყიდა კოდორის ხეობა და სამაჩაბლო და ამ შემზარავი ღალატის და გარიგების კვალის დასაფარად რუსეთთან პროვოკაციულ ომში ჩაება, რასაც საქართველოს ტერიტორიის 20%-ის დაკარგვა მოჰყვა.

ვეთანხმები ამ მოსაზრებას, **დიახ, ყოველდღე უნდა ვამხილოთ ესენი, მაგრამ აქვე ისმის კითხვა: კიდევ რამდენი დღე უნდა ვამხილოთ ეს არამზადები?**

**მე, პირადად, 15 წელია ყოველდღე ვამხელ ამათ, რაც, საერთო ჯამში, 5475 დღე გამოდის.**

**არიან ადამიანები, რომლებსაც ამათი მხილების ჩემზე უფრო დიდი სტაჟი აქვთ – ზოგს 6000 შრომადღე აქვს უკვე გამომუშავებული, ზოგს – 7000, ზოგს უფრო მეტიც, მაგრამ, შედეგი რა?**

როგორც ჩანს, მხილებაში არა არის მხოლოდ საქმე, თორემ ესენი მხილებულნი არიან უკვე დიდი ხანია და მათი დანაშაულის დამადასტურებელი ტომები ერთმანეთზე რომ დავაწყოთ, ალბათ, პარლამენტის შენობას გაუტოლდება სიმაღლით.

– ქუჩის ოპოზიცია ხართ თქვენ და 2020 წელს არჩევნების გზით ქუჩაში დაგტოვებთო, – შეჰპირდა ბატონი გიორგი ნაც-ევრო-ნაცებს.

ძალიან კარგი, თუ ეს ასე მოხდება, მაგრამ რა ვუყოთ იმ ამბავს, რომ **პოლიტიკის ნიღაბქვეშ მოქმედი ეს ძალა არავითარი ოპოზიცია არ არის – ეს არის კარგად ორგანიზებული ბანდა, რომელსაც არჩევნებში კი არ უნდა იწვევდე საპაექროდ, უნდა გაასამართლო და მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ის სასჯელი უნდა მიუსაჯო, რასაც იმსახურებს.**

...არ მინდა, ვინმემ ისე გაიგოს, თითქოს გიორგი გახარია, როგორც პოლიტიკოსი, არ მომწონდეს, ან მისი გაპრემიერება არ მიხაროდეს.

პირადად მე და იმ გაზეთსაც, რომელსაც მე ვრედაქტორობ, არა ერთხელ გამოუხატავს მტკიცე მხარდაჭერა ბატონი გიორგისადმი და ეს პოზიცია არც ახლა შეცვლილა. **ბატონი გიორგი გახარია არა მარტო დღეს, მოცემულ სიტუაციაში, არამედ იმ დღიდან, რა დღიდანაც საქართველომ დამოუკიდებლობა მიიღო, ანუ ბოლო 29 წლის განმავლობაში, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პოლიტიკური ფიგურაა, რომელიც, დარწმუნებული ვართ, ბევრ კარგ საქმეს გააკეთებს ამ ქვეყნისთვის, როგორც პრემიერ-მინისტრი და როგორც პოლიტიკოსი.**

პრობლემა გიორგი გახარიაში კი არ არის, პრობლემა კომუნიკაციის იმ ფორმაშია, რაც „ქართულმა ოცნებამ“ „ნამოძრაობასთან“ საურთიერთოდ აირჩია და რაც ინერციით გახარიას გამოსვლაშიც აისახა.

კოჰაბიტაცია ჰქვია ურთიერთობის ამ ფორმას. კოჰაბიტაცია – „ქართული ოცნების“ მძიმე ჯვარი, რომლის ზიდვამ ხერხემალი გაუმრუდა „ქართულ ოცნებას“.

კოჰაბიტაცია „ქართული ოცნების“ თავზე დაკიდული დამოკლეს მახვილია, რომელსაც „ქართულმა ოცნებამ“ თავისი ნებით შეუშვირა კისერი.

ამ შვიდი წლის წინათ, როცა პირველად ითქვა ხმამაღლა, რომ აუცილებელია, ქვეყანა კოჰაბიტაციის რეჟიმში გადავიდეს, რომ შენარჩუნდეს სამოქალაქო მშვიდობა და სტაბილურობა, მე დავწერე: კოჰაბიტაცია იმისთვის კი არ შემოგვიგდეს, რომ „ნაცმოძრაობა“ გადაარჩინონ, არამედ იმისთვის, რომ „ქართული ოცნების“ დისკრედიტაცია მოახდინონ, მისი ავტორიტეტი შელახონ და ის მაღალი ნდობა და მხარდაჭერა შეასუსტონ, რაც მას ქართველ ხალხში აქვს-მეთქი.

სამწუხაროდ, ეს პროგნოზი გამართლდა – კოჰაბიტაციამ მართლაც უდიდესი ზიანი მიაყენა „ქართულ ოცნებას“ და მისი მხარდამჭერების რიგები საგრძნობლად შეათხელა.



როგორც ზემოთ ვთქვით, საზოგადოება დიდი ხანია შეთანხმებულია იმაზე, რომ „ნაცმოძრაობა“– ეს არის წმინდა წყლის ფაშისტური ორგანიზაცია.

გამოდის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ იმის ნაცვლად, რომ ეს ორგანიზაციაც ისევე გაესამართლებინა, როგორც მისი წინამორბედი ორგანიზაციები გაასამართლეს გერმანიასა თუ იტალიაში, შვიდი წელი ამ ფაშისტებთან პოლიტიკურ შაირობასა და კაფიაობას შეალია, შვიდი წელი ამ ფაშისტებისთვის მორალის კითხვას და რჯულზე მოქცევას მოანდომა.

**რით ვერ გაიგეთ, ძვირფასო მეგობრებო, როგორც უაზრობაა მგლის თავზე სახარების კითხვა, ასევე უაზრობაა „ნაცმოძრაობის“ გაადამიანურების და სიკეთის გზაზე შეყენების ყოველგვარი მცდელობა.**

მათ მხოლოდ ერთადერთი მიზანი ამოძრავებთ – რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ნებისმიერ ფასად დაბრუნდნენ ხელისუფლებაში.

მათი ხელისუფლებაში დაბრუნების დაუოკებელი, ავადმყოფური ჟინი იმ დამნაშავის სურვილს ჰგავს, რომელიც ცდილობს როგორმე დანაშაულის ჩადენის ადგილას დაბრუნდეს, რომ დანაშაულის კვალი სამუდამოდ წაშალოს.

ბატონმა გიორგი გახარიამ, მინისტრობის სხვა კანდიდატებმა, უმრავლესობის წევრებმა საპარლამენტო მოსმენების დროს ბევრჯერ თქვეს, რომ „ნაცმოძრაობა“ დანაშაულებრივი კრიმინალური ორგანიზაციაა და ის უნდა დამთავრდეს,



მაგრამ არავის, ხაზგასმით ვამბობ, არავის, არც ერთ მათგანს არ უთქვამს, რომ ეს დამნაშავეები კანონის შესაბამისად უნდა დაისაჯონო.

„ოცნებელები“ ისევ და ისევ არჩევნების გზით მათ დამარცხებაზე ლაპარაკობენ.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი: დამნაშავე, ბოროტმოქმედი, რომელსაც დანაშაული დამტკიცებული აქვს, უცებ აცხადებს: არ გაბედოთ და ციხეში არ ჩამსვათ, პარლამენტარი მინდა გავხდე და არჩევნებში კენჭი უნდა ვიყაროოო.

რას იზამდა ასეთ შემთხვევაში ხელისუფლება?

რას იზამდა და მოკვდებოდა სიცილით – ჯერ „სროკი“ მოიხადე, ძმაო და პარლამენტარობაზე მერე მოგვაკითხეო, – ეტყოდა „განაგლებულ“ დამნაშავეს.

კი, მაგრამ, ამათ რატომ არ უთხარით იგივე, პატივცემულო ხელისუფლებავ, 27 „ნაგლი“ „რაზბოინიკი“ რომ გიზით პარლამენტში და ქურდულ ენაზე რომ ვთქვათ, თქვენს „გაფუჭებას“ რომ ცდილობენ?

დაბოლოს, მე კარგად მესმის, რომ შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, „ნაცმოძრაობის“ და მათი განაყარი პოლიტიკური ორგანიზაციების დამთავრების სხვა გზა, გარდა არჩევენებისა, მოცემულ სიტუაციაში, არ არსებობს. „ნაცმოძრაობა“ 7 წლის წინათ, 6 წლის წინათ, 5 წლის წინათ უნდა გაგვესამართლებინა, მაგრამ ეს დღეს, ცხადია, ვერ მოხდება, თუმცა „ქართულ ოცნებას“ ერთი რამ ნამდვილად შეუძლია გააკეთოს:

— ჩამოიღეთ თაროებიდან „ნაცმოძრაობის“ დანაშაულობათა ამსახველი ყველა დოკუმენტი, ყველა ტომი, ყველა საქმე და საზოგადოებას სრულად აჩვენეთ „ნაცმოძრაობის“ ნამდვილი სახე, აჩვენეთ, არა სანახევროდ, არა ფრაგმენტ-ფრაგმენტ, არა ალაგ-ალაგ, არამედ აჩვენეთ სრულად, აჩვენეთ მთლიანობაში, აჩვენეთ მთელი შემადგენლობით სააკაშვილ-ადეიშვილიანად, მერაბიშვილ-ოქრუაშვილიანად, ბოკერია-ბაქრაძიანად, ბარამიძე-ვაშაძიანად, შემდეგ კი საზოგადოება თვითონ დაამთავრებს ამ მართლაც ფაშისტურ-კრიმინალურ ძალას არჩევნების გზით.

# გავრილოვის ღამე არა ბრეჟნევის შუადღე – ეს იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, რასაც ხელისუფლება დღემდე ვერ აძლევს შესაბამის კვალიფიკაციას



***გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტ-პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:***

**— ქალბატონო ნანა, საპარლამენტო მოსმენაზე აღინიშნა: „ნაცმოძრაობა“ ყოველდღე უნდა ვამხილოთო. როდემდე უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ მხილებით, ხომ არ სჯობს ქმედით ნაბიჯებზე გადავიდეთ?**

— კარგი შეკითხვაა, 2012 წლის არჩევნებმა ძალიან მკაფიოდ გამოავლინა, რომ ქართველმა ხალხმა გაიაზრა რას წარმოადგენს „ნაცმოძრაობა“ და დიდი ხანია ამხილა კიდეც. ეს ნება, ალბათ, მანამდე — 2004-2005 და ა.შ. წლებში გამოიკვეთებოდა ქართველ ხალხს ამის საშუალება რომ მისცემოდა, მაგრამ სამწუხაროდ, სააკაშვილის რეჟიმი მათ თავიანთი ნების გამოხატვის საშუალებას არ აძლევდა. როგორც კი საზოგადოებას 2012 წელს, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის შემდგომ, საშუალება მიეცა, მათ, „ნაცების“ მხილებაც, შეფასებაც და პოლიტიკურ სანაგვეზე გაშვებაც მაშინვე მკაფიოდ დააფიქსირეს. შეიძლება ასეც ითქვას: უდიდესმა ნაწილმა საკუთარი სიცოცხლის ფასად დააფიქსირა პოზიცია, რომ „ნაცმოძრაობა“ პოლიტიკას ჩამოშორებოდა, ხოლო შემდგომ, ახალ პოლიტიკურ ძალას სამართალი უნდა აღედგინა — „ნაცების“ საქმიანობა შეეფასებინა როგორც იურიდიული, ისე პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების კუთხით. სამწუხაროდ, „ქართულმა ოცნებამ“ ეს არ გააკეთა. უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ხელისუფლების რიგი წარმომადგენელი პირდაპირ წინ აღუდგა „ნაციონალური მოძრაობის“ გასამართლების მოთხოვნას, რეჟიმის შეფასებას. 2013 წელს პოლიტპატიმართა და რეჟიმის მსხვერპლთა ეგიდით სპორტის სასახლეში ღონისძიება ჩატარდა მოთხოვნით — რეჟიმი უნდა გასამართლდეს, სამართლიანობა აღდგეს. დაზარალებულებმა ხელისუფლებას საკუთარი ნება დაუფიქსირეს. მაშინ ისინი აღწერდნენ: თუ რა ზიანი მიაყენა კონკრეტულ ადამიანებს „ნაცმოძრაობამ“ და რა ქმედითი ნაბიჯები უნდა გადაედგა ხელისუფლებას იმისათვის, რომ მათი უფლებები აღმდგარიყო. თუმცა, ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რათა ეს ღონისძიება ჩაშლილიყო. ამ ღონისძიების გადადება ორჯერ გვაიძულეს. ვფიქრობ, მაშინ პროცესების რეალურ განვითარებას სერიოზული ზიანი მიადგა. დღეს, ამ დაზარალებული ადამიანების 80% ქვეყნიდან გაქცეულია. იცით, რატომ? — იმიტომ, რომ იმ ადამიანებმა ვინც ამ ღონისძიების ჩატარებაში მონაწილეობდნენ, პროკურატურას რეჟიმის წინააღმდეგ ჩვენებები მისცეს. იმდროინდელი პროკურატურის წარმომადგენლები პირდაპირ ურეკავდნენ მოწმეებს, დაზარალებულებს და მათ აშანტაჟებდნენ, აშინებდნენ, ეუბნებოდნენ: თქვენ, ხომ არ გგონიათ, რომ მართლა დასრულდა „ნაციონალების“ რეჟიმიო. შეშინებული მოწმეები, დაზარალებულები ქვეყნიდან გაიქცნენ. დღეს, ეს ხალხი მოსაძიებელია. ანუ, ხალხი ვინც თავად იყო ამ რეჟიმის მტკიცებულება — მსხვერპლი, დიდი ნაწილი ან ქვეყნიდან არის გაქცეული ან ხელჩაქნეულია და საერთოდ აღარ აინტერესებს რეჟიმი გასამართლდება თუ არა. მაშინ როცა საზოგადოებაში ეს მუხტი იყო, სამწუხაროდ, ხელისუფლებამ ჩააქრო. ჩნდება კითხვა: როგორ უნდა მოხდეს ამ ადამიანების უფლბების აღდგენა ან მათი ქვეყანაში უკან დაბრუნება? ბევრი კითხვის ნიშანი იბადება.



**— ვინ უნდა დაასრულოს „ნაციონალები“ თუკი ამის გაკეთება ხელისუფლებას არ შეუძლია?**

— დიპლომატიური კორპუსისა და არასამთავრობოების ხელით განადგურდა კასრებში ნაპოვნი კადრები. ჩემი აზრით, ეს დიდი შეცდომა იყო. როგორ უნდა გასამართლდნენ ის ადამიანები, ვინც იმ 150 ფაილის შექმნაში მიიღო მონაწილეობა თუ მტკიცებულებებს გაანადგურებ?! ეს კარგია?! კონკრეტულ საქმეს ხომ კონკრეტული დამნაშავე ჰყავს. ამ დანაშაულებზე მტკიცებულებები იყო საჭირო. დღეს, დროდადრო ფრიალებს პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები. გავრცელდება ეს კადრები აბა რა იქნება, სახელმწიფოს მოხსნილი აქვს პასუხისმგებლობა. არავის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა. არ არსებობს ამ საქმის დამნაშავეები. ამ საქმეში მონაწილეობა იმ ენ-ჯი-ოებს მიაღებინეს, რომლებსაც დღეს აგინებენ. თუ ეს ენ-ჯი-ოები უცხო ქვეყნის დაკვეთას ასრულებენ, აგენტები არიან და ანტიქართული საქმეების კეთებისთვის ფინანსდებიან, რაღატომ ეძახის მათ ხელისუფლება?! ასე, რომ მთავარია საქმით რას გააკეთებ. საუბრები ბევრი გვესმის. მაგალითად, **გიგა ბოკერია რომ საუბრობს ღირებულებებზე, ადამიანის უფლებებზე, იმისთანა უნდა. გიგა ბოკერიას რომ უსმენ დემოკრატიაზე როგორ საუბრობს, ანგელოზი გეგონება, მაგრამ სწორედ გიგა ბოკერია გახლდათ ციხის ბუნტის მთავარი დირიჟორი. ასევე, სულხან მოლაშვილი თავად აცხადებდა, რომ მის წამებაში გიგა ბოკერიას ხელი ერია.** მაგრამ აბა, უსმინეთ რა ტკბილად ლაპარაკობს ღირებულებებზე, ადამიანის უფლებებზე. 20 ივნისს ახალგაზრდა გოგოს თვალი გამოთხარესო და ლამისაა პარლამენტი რუსთაველიდან გლდანში გადადგას. ამ დროს კი არაერთ დანაშაულშია მხილებული. სიტყვების რახა-რუხს რა უნდა.

როცა გახარია გვეუბნება „ნაციონალები“ ყოველდღე უნდა ვამხილოთო, კი ბატონო, მივესალმები ამ ნათქვამს, მაგრამ რად გვინდა ეს მხილება, მეტი მხილება რაღა გინდათ — მათი მმართველობისას 400 ათასმა ადამიანმა გაიარა ციხე, პროკურატურა, სასამართლო, პრობაცია. 400 ათასმა ადამიანმა საკუთარ ტყავზე გამოსცადა რეჟიმი. ვის ელაპარაკებიან, ვის უხსნიან რას წარმოადგენდა ეს რეჟიმი? ვის უყვებიან რა ხდებოდა ციხეებში ვისაც იქ, ყოველდღიურად აუპატიურებდნენ? ქუჩებში შვილებს რომ უხოცავდნენ, იმ ოჯახებს უყვებიან როგორი იყო რეჟიმი? ამას ვის უხსნიან? ახსნა კი არ უნდა, არამედ კონკრეტული ქმედება. როცა დუღდა პრობლემა და ჩვენ სპორტის სასახლეში შეკრებილები რეჟიმის გასამართლებას ვითხოვდით, სამწუხაროდ, ეს 9 წლის განმავლობაში. მათი ერთადერთი მიზანია ხელისუფლების უზურპირების სურვილი ნებისმიერი ფორმით, ძალით, რის დემონსტრირებასაც წელიწადში რამდენჯერმე ახდენენ. ეს იქნება კლუბ „ბასიანის“ გარშემო განვითარებული მოვლენები, თბილისი-პრაიდი, 20 ივნისის ღამე თუ სხვა. რა ქნას ხალხმა? — ისინი 9 წლიანი მმართველობის დროს გააუპატიურეს, ბიზნესები წაართვეს, გააკულაკეს და უსახლკაროდ დატოვეს. ახლა, საზოგადოებას სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოუწოდებდნენ. მათი ბელადი ამ ლოზუნგებს ლამის ყოველდღიურად აჟღერებს. საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი პოლიტიკაში ერევა და ამასთან დაკავშირებით ხელისუფლების შეფასება არ მომისმენია. თუნდაც, არღვევს თუ არა იგი კანონს ამ მიმართულებით. **სააკაშვილი პირდაპირ გვეუბნება: დაგამხობთო. ამ დროს ხელისუფლება ამათ კიდევ ოპოზიციას ეძახის.** მეტი რა გააკეთოს „ნაცმოძრაობამ“, კიდევ რანაირად თქვან რომ კრიმინალები არიან, შუბლზე ხომ არ დაიწერენ. მათ წინააღმდეგ ხელისუფლებას დღემდე დოკუმენტი არ შეუქმნია, არადა გვეუბნებიან, რომ ისინი სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდნენ. დასურათებული დოკუმენტი უნდა შექმნილიყო თუ რას აკეთებდნენ „ნაცები“ 20 ივნისის ღამეს და ტექსტთან ერთად კადრებიც გაეშვათ. ხომ შეიძლება ამ ტექსტს ვიდეო მასალა დაურთო და თქვა: ეს გავრილოვის კი არა, არამედ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ღამე იყო, რაც პარლამენტზე და პოლიციაზე შტურმით გამოიხატა. მოდი, პირდაპირ თქვი: ეს იყო პარლამენტზე შტურმის ღამე, რასაც მსხვერპლად შეეწირნენ ასევე, პოლიციელები, რომელთაც ეს ბანდიტები თავს დაესხნენ და სცემეს. აი, ეს დოკუმენტი გამოიტანოს ხელისუფლებამ და ჟურნალისტს აღარ ექნება სხვა საშუალება, რათა ამ დოკუმენ-



დუღილი ხელისუფლებამ ჩააცხრო. რეჟიმის მსხვერპლთა ძალას უდიდესი დარტყმა მიადგა. ეს ერთ-ერთ მთავარ შეცდომად მიმაჩნია.

**— გახარიამ „ნაცებს“ ქუჩის ოპოზიცია უწოდა და განაცხადა, რომ მათ 2020 წელს არჩევნების გზით ქუჩაში დატოვებს. მაგრამ რამდენად სწორია ამ ძალას ოპოზიციას რომ ვეძახით? მათ არჩევნებზე უნდა გავუსწოროთ ანგარიში თუ სასამართლოში?**

— დიახ, გეთანხმებით, სწორედ ეს უნდა მეთქვა და დამასწარით. მთავრობაში ერთ-ერთი ვისი დიდი იმედიც მაქვს ეს გახლავთ გიორგი გახარია, მაგრამ როცა იგი „ნაცმოძრაობას“ ოპოზიციას უწოდებს, ნიჰილიზმი მიჩნდება. სიტყვა ოპოზიცია რას ნიშნავს? — განსხვავებულ აზრს და ამით ხელისუფლებასთან ოპონირებას. ასეთი არის „ნაცმოძრაობა“?! განა, მას რაიმე აზრი, კონცეფცია გააჩნიათ? რასაც წარმოადგენენ ხომ ვიხილეთ



ტის გარშემო არ ილაპარაკოს და ოპონენტს, ამ შემთხვევაში, ბანდიტ „ნაციონალებს“ კითხვა არ დაუსვას. ხელისუფლება ამას არ აკეთებს. მან ყველაფერს თავის სახელი უნდა დაარქვას. ტელეეკრანზე მხოლოდ ვოლსკის შეფასებები ამ საქმეს არ უშველის. დადონ დოკუმენტი და ღიად თქვან: რა დროს რა მოხდა. **გეკითხებით: განხორციელდა თუ არა 20 ივნისის ღამეს პარლამენტზე შტურმი? არის თუ არა კრიმინალი, როცა პოლიციას ურტყამ. აჩვენონ ეს კადრები და დაარქვან ყველაფერს თავის სახელი. რად უნდა ამას გავრილოვის ღამის ძახილი. ხელისუფლებაც იმეორებს გავრილოვის ღამეო. გავრილოვის ღამე არა ბრეჟნევის შუადღე კიდევ. რა გავრილოვის ღამე. შე დალოცვილო, სად გავრილოვი, სად ღამე და სად შტურმი, რა კავშირშია ერთმანეთთან? თავის სახელი ვერ უნდა დაარქვა რაც იყო?! გავრილოვის ღამე კი არა, პირდაპირ თქვი: ეს იყო სახელმწიფო გადატრიალება და მორჩა.** ეს ბანდიტი „ნაცები“ დასცინიან ხელისუფლებას — თუ სახელმწიფო გადატრიალება იყო, აბა, სად არიან მათი დაჭერილი დამნაშავეებიო.

**— მართლაც სად არიან დამნაშავეები?**

— ეს საარჩევნო კამპანიაა და არა სინამდვილე. რეალობა სხვა რამ არის. ჩვენ, პოლიტიკაში კიდევ უფრო უარეს, ქვეყნისთვის საშიშ ძალას გვთავაზობენ, ვიდრე დღეს არის პარლამენტში წარმოდგენილი, რისი შეფუთვაც ამ ლოზუნგებით ხდება. ხელისუფლებამ გადადგას ნაბიჯი და დაგვანახოს რომ კრიმინალებს იჭერენ. ანუ, მათ ვინც სახელმწიფო ინსტიტუტებს თავს ესხმიან და შტურმი მიიტანეს პარლამენტზე. ხშირად გვესმის: იმ ღამეს 90 ადამიანზე საშვი იყო დაშვებულიო. თუ დაიკითხა ის ხალხი ვინც საშვი დაუშვა ან რისთვის შედიოდა ამდენი ხალხი პარლამენტში, რა უნდოდათ? დაკითხეს ეს 90 კაცი, რა უნდოდათ შუაღამეზე პარლამენტში? რატომ არ არის ეს ხალხი დაკითხული. ამ ხალხის დაკითხვა იქნებოდა რეალურად მიახლოება დანაშაულის გახსნამდე. ასევე, უნდა დაიკითხონ ის პოლიციელები ვინც იმ ღამით იქ იყვნენ. ხომ საინტერესოა: რატომ გამოიყენეს ძალა — იმიტომ, რომ ეტკინათ თუ ეს იყო შტურმი სახელმწიფო ინსტიტუტზე, რაც თავიდან აიცილეს? ძალა რომ არ გამოეყენებინათ, ეს ხალხი პარლამენტში შეიჭრებოდა. გახარია იძახის: ძალის გამოყენებას კანონი არეგულირებსო. მართალია, მაგრამ ხომ უნდა ჰკითხო ამ პოლიციელს რატომ გამოიყენა ეს ძალა. მან უნდა გიპასუხოს: ვეღარ ვაკავებდი სხვაგვარად, ფარი აღარ მქონდა, დუბინკა წამართვეს და აბა, რა გამეკეთებინაო. ეს პოლიციელები, ამ მიმართულებით, არ იკითხებიან. „ნაცების“ კრიმინალური გუნდი ძალიან საშიშია საზოგადოებისთვის. მივუბრუნდეთ ისევ ბოკერიას. მოლაშვილმა განაცხადა: მაწამებდაო და ეს მთელმა მსოფლიომ იცის. დაკითხა ვინმემ ბოკერია? თქვენზე ან ჩემზე ვინმემ რომ დაწეროს მაწამებდაო, როგორ ფიქრობთ, რას გვიზამენ? მოლაშვილის წამების შესახებ ინფორმაცია მე გავავრცელე, მთელს მსოფლიოს მოვდე — ევროსაბჭოს, ევროპარლამენტს, ეს ფოტოები ყველას დავურიგეთ. საქართველოში ყველამ ზეპირად იცის ფოტოები, რომელიც მაია ნიკოლეიშვილმა ჩემი თხოვნით გადაიღო. დაკითხეს ბოკერია?

— ფორმალურადაც კი არ დაუკითხავთ. მოლაშვილი ცოცხალი აღარ არის და ველარ დაუპირისპირდება. ხელისუფლება მარტო იმას გაიძახის: კოაბიტაცია უნდა დამთავრდესო. ეს არ კმარა. არ გამიკვირდება „ქართული ოცნების“ რომელიმე წევრმა უცებ რომ გამოაცხადოს: მორჩა, დამთავრდა კოჰაბიტაციაო. პარლამენტში მქუხარე ტაშს დასცხებენ და ტაშის ამარა დავრჩებით „ქართულ ოცნებას“ ელემენტარული პიარი არ აქვს, რაშიც „ნაცებს“ ბადალი არ ჰყავთ. ავიღოთ, ერთი მაგალითი: ირაკლი კობახიძის ადვოკატად ვერ გამოვდგები, მაგრამ გავიხსენებ მის სიტყვებს: მოსამართლეები ადრე ცუდ საქმეებს აკეთებდნენ და ახლა კარგ საქმეებს აკეთებენო. ამაზე ატყდა სიცილ-ხარხარი. სახელისუფლებო პარტიის



წარმომადგენლებმა ამაზე ოპოზიციას პასუხი არ გასცეს, თავიანთი გუნდის წარმომადგენელი არ დაიცვეს. მე, ის ადამიანი ვიყავი, ვინც ამ მოსამართლეების ჩამოშორებას ვცდილობდი ოღონდ, გამომძიებლების, პროკურორების, რომელთაც პარლამენტის მიერ აღიარებული 190 პოლიტპატიმრის საქმეებში მიიღეს მონაწილეობა. ვამბობდი: ეს ხალხი საქმეს ჩამოაშორეთ-მეთქი. ამ დროს, სწორედ ნაზი ჯანეზაშვილები აკეთებდნენ განცხადებას: მოსამართლეებს ხელი არ ახლოთო. ასეთი კითხვა მაქვს „ნაცებთან“ და ჟურნალისტებთანაც — „ნაცმოძრაობის“ დროს გამამართლებელი განაჩენები 0,001% იყო, დღეს 37% -ია. რომელი სჯობდა?! ხომ ყოფილა ეს კარგი. ამას ხომ ისევ ის მოსამართლეები აკეთებენ. ასევე, ციხეებში პატიმართა რაოდენობით პირველ ადგილზე ვიყავით, დღეს პატიმართა რაოდენობით ევროპულ სტანდარტს ვუახლოვდებით. რომელი სჯობს? ვისი ღვაწლია ეს თუ არა იმ მოსამართლეების, რომლებიც ნაკლებად იყენებენ საპატიმრო გადაწყვეტილებებს. ანუ, ხომ არის მართალი რომ მაშინ ცუდს აკეთებდნენ და ახლა კარგს. საბჭოთა კავშირის დროსაც ჩვენ, სისტემას ვებრძოდით. ხალხი ვინს საბჭოთა კავშირის დროს ქუჩაში დაგვსდევდა და გვიჭერდა, სისტემა რომ დაინგრა, ჩვენი მოკავშირეები გახდნენ. ეს ხომ ერთიდაიგივე ადამიანები იყვნენ, მაგრამ ისინი სისტემამ ჯალათებად აქცია. ხოლო როდესაც სისტემა დაიშალა, ისინი ადამიანებად იქცნენ. ჯალათი სისტემის მსხვერპლია. სწორედ ამის თქმა უნდოდა კობახიძეს იმ განცხადებით. რატომ არ იცავს საკუთარი გუნდის წევრს ხელისუფლება, ჩემთვის გაუგებარია. შემიძლია უამრავი ადამიანი ჩამოვთვალო, რომლებიც ჩემი „ნადზორები“ იყვნენ, დღეს, ჩვენი — დისიდენტების მეგობრები არიან. იმ პერიოდში, როცა ციხეში გამოგვკეტეს, ეს მახინჯი სისტემის ბრალი იყო და არა იმ ადამიანების. ჩვენ, მაშინ სისტემა შევცვალეთ. „ქართულმა ოცნებამ“ ვერ შეძლო თავისი კოლეგა დაეცვა. ბაჩო ახალაია 18 შერაცხული ბრალიდან 11-ში გაამართლეს. გვარამიამ მოიგო პროცესი. მოლაშვილი მოიგებდა პროცესს? ანუ პოლიტიკური ნიშნით მოხდა მისი დაპატიმრება, წამება, გასამართლება.

**— ქალბატონო ნანა, გვარამიას ახალი ბრალდებები წაუყენეს, ამბობენ: დასაჭერიაო და ამ დროს იგი ტელევიზიას ხსნის.**

— ეს ყოვლად არაადეკვატური ქმედებაა. თუ დასაჭერია, დაიჭირონ. განა არსებობს დღეს ადამიანი ვინც არ იცის რომ გვარამია დასაჭერია? ვკითხულობ: გვარამია მარტო „რუსთავი-2“-ის საქმესთან დაკავშირებით არის დასაჭერი? ადეიშვილის პროკურატურაში მისი მოადგილე რომ იყო და ბინძურ საქმეებს აკეთებდა, ამის გამო არ არის დასაჭერი? 9 წლის მანძილზე მოსამართლეები ნოტარიუსები იყვნენ. ისინი პროკურატურის ბრალს პირდაპირ ამოწმებდნენ — ბეჭედს ურტყამდნენ, სხვა ფუნქცია მათ არ გააჩნდათ. ეს საქმეები ხომ რეალურად, გვარამიასთან იბეჭდებოდა. ნოტარიუსები ანუ, მოსამართლეები როგორ ამოწმებდნენ ამ საქმეებს, ვინ ბეჭდავდა ამას? გვარამია დასაჭერია თუ არა, ამ ქვეყანაში ეს კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა იყოს? ისევ, სახელმწიფო გადატრიალებას მინდა დავუბრუნდე. მედია და „ნაცები“ ამბობენ: გამოძიებული უნდა იქნას: იყო თუ არა პარლამენტზე შტურმის მცდელობაო. ადამიანს რომ კლავენ, იმას კი არ იძიებენ მკვლელობა მოხდა თუ არა, ეს შემდგარი ფაქტია, არამედ რა მოტივით, ვინ მოკლა, რა გარემოებებში და ა.შ. შტურმი რომ განხორციელდა ეს კი არ არის გამოსაძიებელი, ეს შემდგარი ფაქტია, არამედ რა მოტივით, ვინ მონაწილეობდა და რა მიზნით. ქურდობა რომ ხდება იმაზე კი არ მიდის გამოძიება მოხდა თუ არა ქურდობა, ეს უკვე შემდგარი ფაქტია. ფაქტები მედიას აქვს, ხოდა მიხედოს საქმეს ხელისუფლებამ. ვიმეორებ, მკვლელობა რომ ხდება სახეზეა გარდაცვლილი, ვინ მოკლა და რატომ ეს უნდა დადგინდეს, თორემ გარდაცვლილია თუ არა ამას რად უნდა გამოძიება?! ხელისუფლება ამაზე ვერ საუბრობს და რომელ კოაბიტაციას დაასრულებს?!

**— წეღანაც გკითხეთ, რა როლი აქვს ამ ყველაფერში საზოგადოებას?**

— სანამ საზოგადოება არ იქცევა საზოგადოებად, ამ ქვეყანას პერსპექტივა არ აქვს. ასეთი საზოგადოება ვერ შედგება საზოგადოებად. სანამ თითოეული მოქალაქე მოქალაქეობრივ ვალს არ იგრძნობს, არაფერი გამოვა. ადამიანის უფლებები მხოლოდ უფლებები კი არ არის, მას უამრავი მოვალეობები ახლავს. ეს რომ არ გვაქვს გაცნობიერებული და ამ მოვალეობებს არ ვაღიარებთ ამიტომ, ეს ქვეყანა ვერ შედგება.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24





კახა კუკავა:

# დანამდვილებით ვიცი, საქართველოს გარედან გაცემულია დავალება, რომ რუსთაველზე სისხლი უნდა დაიღვაროს



## ჩვენი მოკავშირეობა მთლიანად არის დამოკიდებული „ქართული ოცნების“ მიერ „ნაცმოძრაობის“ მოსპობის კატეგორიულ სურვილთან და ქმედებებთან. თუ ეს რეალური კურსია, ჩვენ უკან არ დავიხევთ!

***გვესაუბრება პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა***

**— ბატონო კახა, პირდაპირ გკითხავთ: მოგეწონათ სამთავრობო ცვლილებები?**

— სამთავრობო ცვლილებებს, თავისთავად, აქვს პოზიტიური მხარე. წესია ასეთი, ევროპული კულტურა თუ გვინდა, მთავრობა, რომელიც არაა ეფექტური, უნდა შეიცვალოს, თუნდაც ეს შესაცვლელი პირი პიროვნულად კარგი ადამიანი იყოს.

აშკარაა, რომ ბახტაძის მთავრობამ ვერ გაართვა თავი შექმნილ ვითარებას და გადადგა.

რაც შეეხება ახალ პრემიერს გიორგი გახარიას – იგი არ ჰგავს სხვა მინისტრებს, მეტი ავტონომიურობა და ლიდერის თვისებები გააჩნია. მასზე მაქვს პოზიტიური შეხედულება და ვიტყვი, რომ გახარიას აქვს შანსი, ბახტაძისგან და კვირიკაშვილისგან განსხვავებით, ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყოს სახელმწიფოში...

რაც არ მომეწონა ამ სამთავრობო ცვლილებებში, იყო ის, რომ მინისტრების უმრავლესობა დარჩა ძველ პოსტებზე. არადა, მთავრობა რომ იცვლება, ყველა მინისტრი უნდა შეიცვალოს. ცოტა არალოგიკურია: თუ ყველა მინისტრი კარგი იყო, მაშინ პრემიერი რატომ იყო შესაცვლელი.

სხვათა შორის, გამიხარდა, თავდაცვის მინისტრი რომ შეიცვალა და მიმაჩნია, რომ კიდევ ორი მინისტრი — იუსტიციისა და განათლების მინისტრები აუცილებლად უნდა შეიცვალოს.

მე წავიკითხე გიორგი გახარიას სამოქმედო პროგრამა, მაგრამ იქ ერთი სიტყვაც არ არის ნახსენები სამართლიანობის აღდგენაზე, რაც, მიმაჩნია, რომ ძალიან უარყოფითი ფაქტორია.

„ქართული ოცნების“ ისტორიული ამოცანაა, რომ მან მშვიდობიანად, ნგრევის, ქაოსის და სისხლისღვრის გარეშე ჩაატაროს 2020 წლის არჩევნები და ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს „ნაციონალური მოძრაობა“.

დანამდვილებით ვიცი, საქართველოს გარედან გაცემულია დავალება, რომ რუსთაველზე სისხლი უნდა დაიღვაროს და ვისაც ეს დავალება მისცეს, მას ამის ინსტრუმენტებიც გადასცეს.

**— ანუ ამის შესახებ დანამდვილებით იცით...**

— ეს სრულიად აშკარაა.

თუნდაც სააკაშვილის ფეისბუქ-გვერდზე პირდაპირ იდება მომავალი მოქმედებების გეგმები.

თუმცა ყველამ ვიცით, რომ სააკაშვილი მარტო არ არის.



ამასთანავე, მაგალითად, ბოკერია არ შედის სააკაშვილის ჯგუფში ახლა, მაგრამ სისხლისღვრის გეგმის მონაწილე და მხარდამჭერი ისიც არის და მასაც ჰყავს მფარველი, წამქეზებელი და დამფინანსებელი ქვეყნის გარედან.

გახარიას მთავარ ამოცანას სწორედ აქ ვხედავ — სისხლისღვრა არ უნდა მოხდეს, საპარლამენტო არჩევნები მშვიდობიანად უნდა ჩატარდეს ისე, რომ არ მოხდეს „ვარდების რევოლუცია-2“.

სავარაუდოდ, რა შედეგითაც არ უნდა დამთავრდეს 2020 წლის არჩევნები, გამოცხადდება, რომ არჩევნები ტოტალურად გაყალბდა, მოხდა უდიდესი დანაშაული და უნდა ვიბრძოლოთო. ეს იქნება „ვარდების რევოლუცია-2“-ის მცდელობა და „ნაცმოძრაობის“ ბოლო გაფართხალება, რომელიც თუ წარმატებით დამთავრდა, ჩვენი, ქართველების, დასასრული იქნება, ხოლო თუ გიორგი გახარიამ პრობლემებს თავი გაართვა და არჩევნები მშვიდობიანად ჩატარდა, ამ ერთი ტურბულენტური წლის, ასე ვიტყვი, წარმატებული დასასრული დადგება.

გახარიას მიერ პრობლემების გამკლავებაში, ცხადია, არ ვგულისხმობ რეზინის ტყვიებს, რომლებიც სრულიად დასაშვებია ექსტრემალურ ვითარებებში. მე ვგულისხმობ მისი მხრიდან ტაქტიკურ-სტრატეგიულ მოქმედებებს, როცა საჭიროა, რეზინის ტყვიებსაც და წყლის ჭავლსაც, შესაძლო „ხანძრის კერებსა“ და ცხელ თავებზე...

**— ბარემ გვითხარით, სად შეიძლება იყოს ეს „ხანძრის კერები“?!**

— ორ მაგალითს დაგისახელებთ: ერთი გახლავთ იუსტიციის საბჭო. რასაც აკეთებს პროკურატურა და სასამართლო სისტემა, ეს არის ბოლომდე დამპალი ორგანო, სადაც ყოველ დღე ისეთი რამეები ხდება, რამაც, მოსალოდნელია, ხალხი ქუჩაში გამოიყვანოს.

პირველი, რაც უნდა გააკეთოს ახალმა პრემიერ-მინისტრმა, ის არის, რომ პროკურატურა და სასამართლო, გამონაკლისის გარეშე, მთლიანად უნდა გაუშვას სახლში.

ამ ერთი წლის მანძილზე კიდევ ერთი საფრთხისშემცველი ნაღმი იქნება დუღილის მდგომარეობაში. ეს არის კონფლიქტის ზონა ცხინვალის რეგიონში.

კარგად ვხედავთ, რა პროვოკაციებსაც აქვს ადგილი და მოსალოდნელია, მოხდეს შეტაკება, რაც, სავარაუდოდ, გაგრძელებას ჰპოვებს რუსთაველის გამზირზე.

გახარიას ამოცანა ახლა ის არის, რომ ჩართოს თავისი ყველა უნარი, გამოთვალოს საფრთხეები და თავიდან აარიდოს ქვეყანას ტრაგედიები. ჩვენს ქვეყანას აღარ დარჩა ძალა პროვოკაციებს გაუმკლავდეს და დაძლიოს.

დღეს ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ „ხერხი სჯობია ღონესას“ მეთოდით.

**— წელან ოპონენტების მხრიდან არჩევნების გაყალბებაზე ილაპარაკეთ და მე გამახსენდა ის 800 000 ადამიანი, რომლებმაც „ნაცმოძრაობას“ მისცა ხმა ბოლო არჩევნებში. გაყალბდა ეს ციფრი თუ სად არის ის 800 000 მხარდამჭერი? რაც უნდა სუფთად ჩაატაროს „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები, „ნაცმოძრაობა“, ალბათ, იმ წინა არჩევნების დროს დაფიქსირებული ამომრჩევლის სიმრავლეს მოიტანს არგუმენტად და თამამად ილაპარაკებს გაყალბებაზე.**

— არჩევნები, რომელიც ჩატარდება 2020-ში, ალბათ, უკეთესი იქნება, ვიდრე 2018 წლის არჩევნები იყო და ბევრად უკეთესი, ვიდრე სააკაშვილის დროს ჩატარებული ნებისმიერი არჩევნები, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

ხელისუფლებამ დღეს მშვენივრად იცის, რომ უმცირეს დარღვევაზეც კი იქნება სასტიკი რეაგირება და ქვეყნის გარედან NDI, IRI, ამერიკის საელჩო და სხვა საერთაშორისო სტრუქტურები გამადიდებელი შუშით დააკვირდებიან ყველაფერს, სააკაშვილის პერიოდის არჩევნებისგან განსხვავებით, თვალს რომ არიდებდნენ დარღვევებს.

ამიტომ ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას შეცდომები, არ უნდა მოხდეს მცირე დარღვევაც კი.

აქ აუცილებელია ამომრჩევლის განწყობის გათვალისწინებაც.

მიმაჩნია, რომ 2016 წელსაც გაყალბდა საპარლამენტო არჩევნები, მაგრამ ხალხის პროტესტი ამას არ გამოუწვევია, რადგან 50 თუ 48% მიიღო „ქართულმა ოცნებამ“ და, რეალურად, „ოცნება“ რომ მოიგებდა, ისედაც იყო ამის მოლოდინი, მაგრამ 2020-ში თუ „ქართული ოცნების“ ერთპარტიული მთავრობა კვლავ ხელისუფლებაში დარჩება, ამისთვის საზოგადოება მზად ვერ და არ იქნება.

„ქართული ოცნება“ შეიძლება იქნეს ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი აქტორი, დარჩეს მას სამთავრობო ბერკეტები, მაგრამ მთავრობა ე. წ,. „ქოცური“ არ უნდა იყოს. ამას ქართული საზოგადოება, ზუსტად ვიცი, არ შეეგუება.

მე ვფიქრობ, ობიექტური იქნება, „ქართულმა ოცნებამ“ ხმების 30–35% აიღოს.

**— როგორ აფასებთ ე.წ. ნულოვან ბარიერს? ეს ხომ არ შეუწყობს ხელს იმას, რომ ნაკლებად გაყალბდეს არჩევნები?**

— ეს ბიძინა ივანიშვილის მხრიდან სწორად მიღებული გადაწყვეტილება იყო და მის სასარგებლოდ მეტყველებს.

ივანიშვილი 20 ივნისის მოვლენების შემდეგ მშვენივრად მიხვდა, რომ ეს სისტემა აღარ მუშაობს და იმ ჩაკეტილი წრის კარები გახსნა, სადაც მარტო ე.წ. ნაცები და ქოცები თამაშობდნენ და მოგვიწვია სხვა „მოთამაშეებიც“.

ეს კურსი რამდენად გაგრძელდება ამ ერთი წლის განმავლობაში, ეს ჯერ არ ვიცით, თუმცა, კიდევ ვიმეორებ, ეს იყო სწორი სვლა, რომელიც ადრეც უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

**— თქვენ თქვით, რომ რეალობა — ნაცები და „ოცნება“ ქართულ პოლიტიკურ სცენაზე ივანიშვილმა შექმნა. არ უშვებთ იმ ალბათობას, რომ ჩვენი პოლიტიკური პარტნიორები დასავლეთიდან, რეკომენდაციების დონეზე, ჩარეული ყოფილიყვნენ ამ გადაწყვეტილების მიღებაში?**

— შეიძლება ასეც ყოფილიყო, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ივანიშვილს მაინც მოუწია იმის გაკეთება, რაც აუცილებლობა იყო.

დღეს ის რეალობაა, რომ ჩვენს პარტნიორებს მკაფიო მესიჯები უნდა გავუგზავნოთ: ქართველი საზოგადოება არის განწყობილი

პროდასავლური ორიენტაციისადმი, ოღონდ თუ ისინი გვთხოვენ, რომ სააკაშვილი უნდა გვაჯდეს თავზე, არ გვინდა არც ევროკავშირი, არც ნატო, არც ეს ლგბტ საზოგადოება, ისევ ჩვენს მტრებთან მოვრიგდებით. ეს უნდა ითქვას მკაფიოდ.

მაგალითად, აშშ-ს აქვს თავისი პირობები საქართველოს მიმართ და ამ პირობებს სჭირდება დაზუსტება და შეცვლა. ჩვენ უნდა გვქონდეს გამოკვეთილი კურსი და ინტერესები ყველას მიმართ და მათ შორის ამერიკის მიმართაც.

მაგალითად, ეს მსახიობი ზელენსკი უკვე ცდილობს რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებას და ამას არ ეწინააღმდეგება ვაშინგტონი. აშშ-ის პრეზიდენტი რომ იყოს ბუში ან ობამა, არ აპატიებდნენ ამას ზელენსკის, მაგრამ ტრამპის შემთხვევაში ეს შესაძლებელია.

ქართველი პოლიტიკოსები უნდა ფიქრობდნენ ამაზე, მაგრამ ამათი ინტერესია ზესტაფონი-ხარაგაულის გზის მშენებლობის ტენდერიდან რამდენ მოგებას ნახავენ.



**— გამოდის, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში „შუამავლად“ ტრამპი გამოდგება?**

— ტრამპმა დააყენა ე.წ. წითელი ხაზები, სადაც საქართველო არ შედის.

თვითონ და მისი ადმინისტრაცია კი მიიჩნევს, რომ თავი უნდა დაანებონ ე.წ. რუსოფობიას, რადგან ამ მიმართულებამ არ გაამართლაო.

მთელი ევროპის განწყობა კი ასეთია: ჯობს რუსეთი „ჩავიხუტოთ“, რადგან ჩვენი მთავარი მტერი დღეს ჩინეთია, ჩინეთს და რუსეთს ერთად ვერ მოვერევითო.

აქედან გამომდინარე, ჩვენ გამოვდივართ სოფლის ბოლო, ყანა, სადაც ჯერ კიდევ 60-იანი წლებია და ვერ ვუწყობთ ფეხს თანამედროვე მსოფლიო ტენდენციებს.

ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: დავით აღმაშენებლის სიბრძნე მარტო იმაში არ გამოიხატებოდა, ომი და ხმალი რომ იცოდა კარგად; საქართველო ვერ მოუგებდა სელჩუკების იმპერიას, აღმაშენებელს საერთაშორისო კონტექსტი რომ არ გაეთვალისწინებინა. მან სწორად დაამთხვია ჩვენი სახელმწიფო ინტერესები საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგს,

როგორც დავინახეთ, მაკრონმა გამოთქვა ინიციატივა, დიდ რვიანში რუსეთის დაბრუნების თაობაზე უკრაინის კრიზისის დაძლევის საფუძველზე.

ჩვენი ტრაგედია ის იქნება, რომ უკვე 30 წელია, აქ, აშშ-ის დროშებს ვაფრიალებთ და აშშ და რუსეთი რომ მორიგდეს, ოღონდ ჩვენ გარეშე.

**— დავუშვათ, ასე მოხდა. რას ვაკეთებთ ჩვენ?**

— ჩვენ მოგვიწევს რუსეთთან ლაპარაკი უკვე სრული კაპიტულაციის პირობებში.

**— ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში თქვენ ადრე თქვით, საჭიროა შეფასდეს გასული საუკუნის 90-იანი წლების მოვლენებიო. რატომ ფერხდება მაშინდელი სახელმწიფო გადატრიალების სამართლებრივი შეფასება, თქვენი აზრით?**

— განცხადებით ამის შესახებ ყველა მთავრობას მივმართე. დღევანდელ მთავრობას ჯერ 2012 წელს წარვუდგინე მოთხოვნა და წელსაც, მაგრამ არავითარი რეაგირება არ ყოფილა, თუმცა შალვა თადუმაძის ხელში ისედაც არ ველოდი არანაირ რეაქციას.

მე ივანიშვილის მიმართ არავითარი პიროვნული ინტერესი არ გამაჩნია, მაგრამ თუ ფაქტებს და მოვლენებს თავისი სახელი არ დაერქვა, ყველაფერი გაგრძელდება ისე, როგორც იყო. თავად ივანიშვილსაც ისე მოიშორებენ, როგორც სხვები მოიშორეს. მისი ფინანსები ისეთივე სიდიდეა გლობალური პოლიტიკისთვის, როგორც ის, მე რომ ჯიბეში ახლა 10-ლარიანი მიდევს.

ბატონი ბიძინა თუ დარჩა ამ სისტემაში, რაც არის დღეს საქართველოში, და ეს მისთვის ძალიან წამგებიანი იქნება, მან რამენაირად უნდა გამოიყენოს ეს ერთი წელიწადი, რომ სისტემა ნაწილობრივ მაინც შეარყიოს, ანუ „ნაცმოძრაობის“ და ლიბერალური პარტიების როლი, როგორც მინიმუმ, შეასუსტოს ქართულ პოლიტიკაში.

თუ ბიძინა ივანიშვილს ჰგონია, რომ მას ვინმე ხელშეუხებლობის გარანტიას მისცემს და პოლიტიკიდან მშვიდობიანად გაუშვებს, ნუ დაიჯერებს, რადგან ასეთ გარანტიებს, მსგავს შემთხვევებში, რეალურად, არ იძლევიან. ყველას გვახსოვს, პატარკაციშვილი, რომელიც მიშასთვის და ქვეყნის გარედან გარკვეული წრეებისთვის საფრთხე აღმოჩნდა და ის მოიშორეს...

მიმაჩნია, რომ სისტემა, რომელიც სწორედ 90-იანი წლებიდან მოდის, უნდა დამარცხდეს!

ბევრს ეს აკვიატება ჰგონია,



მაგრამ, ფაქტია, ვერც ტერიტორიულ საკითხს, ვერც დასაქმებას, ვერც ნაციონალების გაუვნებელყოფის საკითხებს ვერ გადავწყვეტთ ამ სისტემის მოშლის გარეშე.

**— რაც ვისაუბრეთ, იქიდან გამომდინარე, მრჩება შთაბეჭდილება, რომ „ქართული ოცნება“ და თქვენ, თითქოსდა, დაახლოებით, ერთ პოლიტიკურ რელსებზე დგახართ.**

— მე არ მივიჩნევ ასე. არავის არ უთქვამს, ავკრძალოთ კუკავა და მისი ძალა, მაგრამ არც ერთი საინფორმაციო საშუალება ჩვენ „ქართული ოცნების“ პირობებში ასპარეზს არ გვითმობდა.

ჩვენი პარტია იყო ერთადერთი პოლიტიკური პარტია, რომელიც „რუსთავი-2“-სა და „იმედზე“ თანაბრად ვიყავით აკრძალული, აქუბარდია თუ მიგვიწვევდა „კავკასიაზე“ ხანდახან, ეგ იყო და ეგ.

თქვენი შეკითხვის პათოსს გავიზიარებ და ვისურვებ, რომ ასე იყოს მომავალში, მაგრამ, უნდა გითხრათ, სკეპტიკურად ვარ განწყობილი.

**— მე დღევანდელობას ვგულისხმობდი, თქვენ დღეს იმ მტერს ებრძვით, რომელსაც „ქართული ოცნება“.**

— მოდი, ასე გეტყვით: „ქართული ოცნება“ დღეს არის ამორფული გაერთიანება, ამიტომ ცალსახად ვერ ვიტყვი და ვსვამ რიტორიკულ კითხვას: არიან ისინი მზად „ნაცმოძრაობასთან“ ბრძოლისთვის?

არაერთხელ მაქვს ნათქვამი და თქვენც გექნებათ ჩემგან მოსმენილი, რომ ვამბობდი: დამნიშნეთ რიგით პროკურორად და სამ თვეში „ნაცმოძრაობა“ აღარ იარსებებს-მეთქი, ეს მე შემთხვევით არ მითქვამს.

„ნაცმოძრაობას“ რომ ებრძოლო, მარტივი ამბავი არაა. ეს ნიშნავს იგივე სიცილიურ მაფიასთან ან უფრო საშიშ ძალასთან შერკინებას, რომელსაც თადუმაძე ვერ გაუმკლავდება...



თქვენ ვერ ხედავთ, თითს რომ უქნევენ პარლამენტში „ოცნების“ მინისტრებს ნაციონალი დეპუტატები და ესენი ხმას ვერ იღებენ?

ჩვენი მოკავშირეობა „ოცნებასთან“ მთლიანად არის დამოკიდებული „ქართული ოცნების“ მიერ „ნაცმოძრაობის“ მოსპობის კატეგორიულ სურვილთან და ქმედებებთან.

თუ ეს რეალური კურსია, ჩვენ უკან არ დავიხევთ...

ეს თვითონ ბატონი ივანიშვილის გადასაწყვეტია.

ჩვენ „ნაცმოძრაობასთან“ წაკეკლუცებაში მოკავშირედ ვერავის ვერ გამოვადგებით, რადგან „ნაცმოძრაობა“ არის თანამედროვე ტროცკისტების გაერთიანება, ეს არის ხალხი, რომლებიც ვერ ინტეგრირდებიან.

სხვათა შორის, სტალინს ტროცკისტების დახვრეტა პირდაპირ არ დაუწყია, თავიდან ის ცდილობდა მათი ინტეგრირება მოეხდინა, მაგრამ ვერ შეძლო ეს ამბავი.

კიდევ ვიმეორებ, სექტა არ ინტეგრირდება!

რაც გინდა ტენდერი მოაგებინო, ან, მაგალითად, ბოკერიას 30 მლნ. დაახარჯო, არაფერი ეშველება. ესენი კვლავ ისეთი ნამუსგარეცხილები დარჩებიან.

**მე ვამბობ და დაიმახსოვრეთ: „ნაცმოძრაობა“ ლეგალურ პოლიტიკურ სისტემაში ტრანსფორმირებას არ ექვემდებარება!**

**სააკაშვილის და ივანიშვილის კოჰაბიტაცია არის გამორიცხული.**

**ან სააკაშვილი გაანადგურებს ივანიშვილს, ან ივანიშვილმა უნდა გააკეთოს ეს.**

სპარინგ-პარტნიორობა, კოჰაბიტაცია და მსგავსი შეთამაშებები ნაცებთან რომ არ გამოდის, თვალნათლივ გამოჩნდა უკვე 20 ივნისს.

თავად შევარდნაძეც პოლიტიკურმა თამაშებმა დაღუპა, მაგრამ მისი დიდი შეცდომა მაინც ის იყო, რომ მემკვიდრე არ დაასახელა. ბიძინა ივანიშვილმა უნდა თქვას, ვის მოიაზრებს მის შემდეგ და მორჩება თავისტეხა. გაჩნდება მემკვიდრის მომხრეთა ე.წ. გაერთიანება, რომელიც იბრძოლებს, ეს იქნება მოტივაცია, რადგან ყველა ფიქრობს: რა აზრი აქვს, ვიბრძოლო, თავი გავწირო და ხვალ კუდამოძუებული დავრჩე.

ნაციონალები არიან გიჟები. მათი პლატფორმა არ ეფუძნება რაციონალიზმს. ამ სიგიჟეებთან საჭიროა ბრძოლა და ეს ხელისუფლებას რატომღაც არ ესმის.

**ირანდა კალანდაძე**
93 56 11 18



# ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს

## ქალბატონო სალომე, ხომ არ გაილვიძა უკვე თქვენში უმადურობის სინდრომმა? დროზე მიხედეთ თავს, თორემ ეს ისეთი ავადმყოფობაა, რომელიც ადვილად არ იკურნება

**ქალბატონო სალომე!!!**

ბოლო დროს ძალზედ ხორკლიანი ამბები მოდის საქართველოს პრეზიდენტის სასახლიდან – ხან „რუსთავორელებს“ უცხადებენ სოლიდარობას და ნოდარ მელაძეს ეფიცებიან მეგობრობას, ხან პოლიციელის მკვლელს იწყალებენ, ხან კიდევ ბიძინა ივანიშვილს კბენენ უპრაგონოდ და დაუმსახურებლად. ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი უკვე ისე იქცევა, თავისი წინამორბედივით ვეტოების დადებასაც დაიწყებს და შეიძლება ავლაბრის რეზიდენციაში გადასახლებაც მოითხოვოს. კაი, ჰო, ერთი გავუტარეთ, მეორე გავუტარეთ, მესამე გავუტარეთ, ახლა კი ისეთი რაღაც ჩაიდინა, ვეღარ გავუტარებთ და გავკიცხავთ კიდეც. თუმცა, სანამ





არ გავუტარებთ და გავკიცხავთ, მოკლედ გეტყვით, რაშია საქმე: ამ დღეებში ქალბატონმა სალომემ ვრცელი ინტერვიუ მისცა ფრანგულ გამოცემა „ფიგაროს“, სადაც ისაუბრა დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციაზე, ევროპაზე, ნატოსა თუ თავის სამომავლო გეგმებზე. ამ ინტერვიუში არის ერთი საჩოთირო და არასასიამოვნო მონაკვეთი – „ფიგაროს“ ჟურნალისტი დაინტერესდა, რას უპასუხებდა ოპოზიციის წარმომადგენლებს, რომლებიც ამბობენ, რომ ბიძინა ივანიშვილი მართავს ქვეყანას.

სალომე ზურაბიშვილის პასუხი:

„წარსულში მე თვითონაც მოვიხსენიე ბიძინა ივანიშვილი ოლიგარქად. ის რუსეთში გამდიდრდა, ისევე, როგორც მიხეილ სააკაშვილის გარემომცველ პირთა გარკვეული ნაწილი. საქართველოში ის დღეს ფილანტროპიულ საქმიანობასა და მეცენატობას ეწევა, მაგრამ ფულს არ აკეთებს, იმიტომ, რომ საქართველოში არ არის ისეთი გარემოებები, რომ მილიარდერი ან მილიონერი გახდე. რამდენად მნიშვნელოვანია ეს ადამიანი პოლიტიკურად? დიახ, ის მნიშვნელოვანია. ივანიშვილმა მოახერხა, ხელისუფლებაში მოსულიყო და გააერთიანებინა ოპოზიცია, რომლის რაოდენობაც იზრდებოდა. მან ეს ნამდვილად იმიტომ მოახერხა, რომ ფული ჰქონდა. ის დღესაც არის უმრავლესობის პარტიის სათავეში და შესაბამისად, გავლენაც აქვს“.

ინტერვიუს სრული ტექსტი პრეზიდენტის პრესსამსახურს რომ არ გაევრცელებინა და თავისივე ვებ-გვერდზე არ გამოექვეყნებინა, ვიფიქრებდით, რომ რაღაც გაუგებრობასთან, ან არასწორ თარგმანთან გვაქვს საქმე, მაგრამ ფაქტია, ბიძინა ივანიშვილის მოღვაწეობის ასეთი ვერსია თავად ზურაბიშვილმა შემოგვთავაზა.

ქალბატონო სალომე!!!

1. თქვენ ძალიან დიდ და უხეშ შეცდომას უშვებთ, როცა ბიძინა ივანიშვილზე ასე აგდებულად ლაპარაკობთ, თან წარსულსაც იხსენებთ, ადრე მეც მოვიხსენიე ოლიგაქად, ის რუსეთში გამდიდრდა, როგორც მიხეილ სააკაშვილის გარემომცველ პირთაგან გარკვეული ნაწილიო. არა, ნეტავ თუ გრძნობთ, რამხელა აბსურდს ბრძანებთ? ესე იგი, თქვენი დავთრების თანახმად, ბიძინა ივანიშვილი და გაქსუებული სააკაშვილის გარემომცველი პირები ერთნი არიან. ისე, კარგი იქნებოდა, დაგესახელებინათ ეს პირები, უფრო საინტერესო შედარება გამოგივიდოდათ. ჩემი აზრით, თქვენში უკვე გაიღვიძა უმადურობის სინდრომმა, რაც, თუ საკუთარ თავს არ მიხედეთ, ამიერიდან კიდევ არაერთხელ ჩაგაყენებთ უხერხულ მდგომარეობაში!

2. ესე იგი, ბიძინა ივანიშვილი საქართველოში ფულს იმიტომ არ აკეთებს, რომ ეს უბრალოდ შეუძლებელია, არ არის სათანადო გარემო. გამოდის, თუ იქნებოდა ფულის საკეთებელი გარემო, ივანიშვილი სიამოვნებით შეავსებდა თავის ანგარიშებს აქ ნაშოვნი „მაყუთით“. ნეტავ თუ ხვდებით, რომ თქვენ ძალიან ცუდად იცნობთ საქართველოს და აზრზე არ ხართ, რომ ჩვენ პარლამენტში 40-მდე მილიონერი გვიზის? აღარაფერს ვამბობ არასაპარლამენტო მილიონერებზე. სხვათა შორის, ზოგიერთი ისეთიც გვყავს, რუსეთის კი არა, თურქეთის გზაც არ იცის, ბევრი თვითმფრინავშიც არ მჯდარა, ასეთები, დიახაც, მილიონერები გახდნენ საქართველოში. ასე რომ, ბიძინა ივანიშვილს თავის ქვეყანაში ფულის კეთება რომ უნდოდეს, ამას როგორმე მოახერხებდა!

3. თურმე, ასევე თქვენი დავთრების თანახმად, ბიძინა ივანიშვილმა 2012-ში მხოლოდ იმიტომ მოახერხა ოპოზიციის გაერთიანება, რომ ფული ჰქონდა. კი, მაგრამ ხალხი? კარგად გაიხსენეთ, ქალბატონო სალომე, 2012 წლის ზაფხულში ივანიშვილს თბილისის ქუჩებსა და რეგიონებში გამოჰყავდა ასი ათასობით ადამიანი, მათთვის ფული არ გადაუხდია. რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიებს, ანუ ოპოზიციას, მან საშუალება მისცა, საარჩევნოდ ფინანსები ჰქონოდათ. ვინ როგორ გამოიყენა არჩევნებისთვის განკუთვნილი თანხები, ვინ რისთვის მიუცუცქდა „ქართულ ოცნებას“ და ვინ როგორი უმადურობა გამოიჩინა, ეს უკვე ვნახეთ, ამ თემაზე მეტს აღარ გავაგრძელებ!

4. ქალბატონო სალომე, მოდით, ბოლომდე გავხსნათ კარტები: როგორ ფიქრობთ, რომ არა „ქართული ოცნების“ დახმარება და ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერა, დღეს მაგ სავარძელში იჯდებოდით? მე მგონი, არა! მაპატიეთ, აქ აღარ მინდა ვახსენო ფინანსები, თავგანწირული მუშაობა, არნახული პიარი და ასე შემდეგ. ისა და... თქვენც (განაღდებულზე) ხომ არ გეხამუშებათ, რომ ივანიშვილმა ფული რუსეთში იშოვა? თქვენი საქმისა თქვენ იცით, რაც გინდათ, ის ილაპარაკეთ, მაგრამ პირდაპირ გეტყვით: ნუ თამაშობთ, ნუ მოგაქვთ თავი ისე, თითქოს მეორე ტურში ქართველი ხალხი მხოლოდ თქვენ დაგიდგათ მხარში. ნათქვამია, როგორც ყველაფერი არ იჭმება, ისე ყველაფერი არ ითქმებაო და ამიტომაც ბევრ რამეზე საუბრისგან თავს ვიკავებთ. თუმცა, ალბათ, იცით, ყველაფერს აქვს საზღვარი და ერთხელაც ყველაფერი ითქმება.



მადლობა ყურადღებისთვის, გისურვებთ წარმატებას!

**P.S.** ასევე მადლობა იმისთვის, რომ ჩვენი რჩევა გაითვალისწინეთ და თქვენი პრესსამსახურის ხელმძღვანელი ხატია მოისწრაფიშვილი გაათავისუფლეთ. როგორც მან განაცხადა, სამსახურიდან წასვლის მიზეზი თქვენთან პოზიციების შეუთავსებლობა გახდა. გვესმის, არ არის ეს სასიამოვნო ფაქტი, მაგრამ როცა პრესმდივანს გააჩნია იმ ადამიანების მიმართ სიმპატია, ვინც არჩევნების პერიოდში და შემდეგაც ათასნაირი სისაძაგლე დაგაბრალათ, უბრალოდ არ უნდა იყოს ესოდენ მაღალ თანამდებობაზე. ისე, რაღა დაგიმალოთ და... გასაშვები ჯერ კიდევ ბევრი გყავთ, კარგად მიმოიხედეთ გარშემო, ზოგი ისეთი მუშაობს თქვენს ადმინისტრაციაში, გაზეთსა და რადიოს რომ ვერ არჩევს ერთმანეთისგან. მეტიც, მანდ ისეთები გყავთ, გაზეთი რა არის, საერთოდ რომ არ იციან.

**პატივისცემით,**
**„საერთო გაზეთი“**
**და გელა ზედელაშვილი**

# „ნაციონალებო“, დაიმალეთ, მთავრობაში კაცები მოვიდნენ!



5 სექტემბერს საქართველოს პარლამენტში მინისტრობის ძველ და ახალ კანდიდატურებს მოუსმინეს. მათ შორის ირაკლი ღარიბაშვილს (თავდაცვა). ვაღიაროთ, გიორგი გახარიას გაპრემიერებამ, ირაკლი ღარიბაშვილის ხელახლა გამინისტრებამ და ვახტანგ გომელაურის ხელახლა გაპოლიციელებამ გვაჩვენა, რომ მთავრობაში საკვანძო სტრუქტურები კაცებმა გადაიბარეს. განა აქამდე თანამდებობები კაცებს არ ეკავათო? იკითხავთ თქვენ და მართლებიც იქნებით. დიახ, ეკავათ, მაგრამ ეს უკვე სხვა კონფიგურაციაა, სხვა პოლიტიკა და გაგებაა, სადაც უმნიშვნელოვანესი როლი უნდა შეასრულოს ირაკლი ღარიბაშვილმა – ის იქნება არა მხოლოდ თავდაცვის მინისტრი, არამედ, ის მაინც რჩება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ წამყვან და ეფექტურ სახედ. აი, სწორედ ამ კონფიგურაციამ, კაცების სწორად გადანაწილებამ, ღარიბაშვილის მობრუნებამ გააცოფა და ჭკუიდან გადაიყვანა ე.წ. საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიცია. ისინი აქამდეც იყვნენ გაცოფებულნი და არც ჭკუა მოეკითხებოდათ, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის ასეთმა გროსმაისტერულმა სვლამ თითქმის ყველა ფსიქიატრიულის პაციენტად აქცია (ბატონო ბიძინა, დაუჩქარეთ-მეთქი ფსიქიატრიულების მშენებლობა, აბასთუმანი მოიცდის, ეს საქმე არ იცდის). სხვათა შორის, გარედანაც კარგად ჩანს, რომ ირაკლი ღარიბაშვილის გამინისტრება ზოგიერთ ყოფილ შინაურსაც არ ესიამოვნა („ოცნებიდან“ წასულ-გარიცხულებს ვგულისხმობ). აგერ, მას შემდეგ, რაც ირაკლი „დასასვენებლად“ იყო წასული, „ექს-ოცნებელი“ ლევან გოგიჩაიშვილი ისე გაინტრიგნებულა, ჯერ სამი წლის წინანდელი ამბავი გაუხსენა, პრემიერის პოსტი რატომ დატოვეთო, შემდეგ კი „გირჩის“ გაკრიტიკება ეწყინა, ხელახალ მოღვაწეობას აგრესიით რატომ იწყებთო? მეტიც, მოგვიანებით მინისტრობის კანდიდატებს მიმართა: „არაეფექტური იქნება თქვენი მთავრობა იმიტომ, რომ გიორგი გახარიას არც ერთი თქვენგანი შინაგანად პატივს არ სცემს“.





უკვე გითხარით, ლევან გოგიჩაიშვილი გაინტრიგნებულა-მეთქი. ასე რომ არ იყოს, აბა, ამან რა იცის, მთავრობის წევრები შინაგანად პატივს გიორგი გახარიას სცემენ თუ კოტე ყუბანეიშვილს? სიტყვა „შინაგანად“ არის მცდელობა, რათა მთავრობაში დასაწყისიდანვე ჩაითესოს უნდობლობის სინდრომი. გოგიჩაიშვილი შინაგანი ორგანოების სპეციალისტი რომ იყოს, მის ნათქვამს დავიჯერებდით, მაგრამ რაკი ერთ დაბოლმილ „მასტად“ იქცა, გვაქვს სრული უფლება, ყურადღება საერთოდ არ მივაქციოთ.

მოკლედ, როგორც უკვე გითხარით, ირაკლი ღარიბაშვილის გამინისტრებამ ბევრი შინაურ-გარეული გააღიზიანა და ბევრსაც დაეტყო ვაზელინის კვალი – ფარისევლები, რომლებიც ადრე ირაკლის აგინებდნენ და იძახდნენ, ეგ წარსულია, რაღა დროს ღარიბაშვილიაო, კვლავ ჩადგნენ ფორმაში და კვლავაც დაიწყო მათთვის მზემ ამოსვლა ქიზიყიდან. ვნახოთ, ეს უკვე ღარიბაშვილის გასარკვევ-გასარჩევია, დაიყენებს თუ არა გვერდით მედროვეთა ხროვას.

რაც შეეხება პარლამენტში გამოსვლას, ეს გახლდათ შემტევი, საქმის მკეთებელი, ენერგიული კაცის გამოსვლა, რომელსაც ნამდვილად სურს ქვეყნის დალაგება, დასუფთავება, გაწმენდა და აყვავება. გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს მისი გამოსვლიდან:

„ბოლო 3 წელი, რაც მოხდა ქვეყანაში და ხელისუფლების მუშაობაში, მე აბსოლუტურად არ მიმიღია მონაწილეობა, შესაბამისად, აბსოლუტურად არაფერზე არ ვიღებ პასუხისმგებლობას. ის, რაც განვითარდა ბოლო 3 წელში, რაც თქვენ გააკეთეთ, თუ არ გააკეთეთ, თქვენი მოქმედებით თუ უმოქმედობით“.

„2016 წელს ჩემთვის აბსოლუტურად შეურაცხმყოფელი იყო, როგორც ყოფილი შს მინისტრისთვის, როცა მე ვნახე ტელეეთერში ამ სექტის, გირჩის“ მიერ მარიხუანას კულტივაციის რაღაც დემონსტრირება და დარგვა. კანონი, უკაცრავად და თავზე დაგვახიეს... ის, რაც ბოლო წლებში



განვითარდა არის პირდაპირი კატასტროფა და ტრაგედია ჩვენი ერის. ვგულისხმობ, პოლიტიკური მოძრაობის, ჩვენი ოპონენტების – „ნაცმოძრაობისა“ და იმათთან აფილირებული წევრების ე.წ. „გირჩის“ ინიციატივას, რომლის ფარგლებშიც ხდება პირდაპირი დეგრადაცია ჩვენი საზოგადოების, ეს არის ჩვენი მომავალი თაობის დეგრადაციის მცდელობა, რაც ყოვლად დაუშვებელია.

მინდა აღვნიშნო, არ მოვერიდები და ყოველგვარი პოლიტკორექტულობის გარეშე ვიტყვი, რომ ამ ორგანიზაციის თუ სექტის საქმიანობა საფრთხეს უქმნის ჩვენი სახელმწიფოს და ჩვენი ჯარის ძლიერებას. არ მოვერიდები იმის თქმას, რომ ეს არის ძირგამომთხრელი საქმიანობა ჩვენი სახელმწიფოსთვის. მჯერა, რომ თქვენთან ერთად ვიმუშავებთ და ეს იქნება პირველი ამოცანა და საზრუნავი, რაც შეიძლება მოკლე ვადებში ეს საკითხი დარეგულირდეს“.

„კიდევ ბევრს გავაკეთებთ, რომ ჩვენი საამაყო თავდაცვის ძალები გახდეს კიდევ უფრო ძლიერი. ჩვენ გავაგრძელებთ დაწყებულ რეფორმებს და მჯერა, რომ ყველა ერთად, თქვენი მხარდაჭერით, თქვენი გვერდში დგომით ჩვენი ჯარი გახდება კიდევ უფრო ძლიერი, ვიდრე არის დღეს“.

„მინდა შეგახსენოთ, რომ საქართველო იყო ერთ-ერთი გამონაკლისი, სადაც მაღალტექნოლოგიური საწარმო არსებობდა. დღესაც არსებობს ე.წ. 31-ე ქარხანა, სადაც ჩვენ ვუშვებდით სამხედრო თვითმფრინავებს. საბედნიეროდ, ქვეყანაში ჯერ კიდევ გვაქვს ინტელექტუალური რესურსი. ის ადამიანები, რომლებიც მუშაობდნენ ამ უნიკალური მაღალტექნოლოგიური პროდუქციის შექმნაზე, ჯერ კიდევ ცხოვრობენ ქვეყანაში. მე ვაპირებ ამ საკითხის დასმას მთავრობის შემადგენლობაში. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ეს უნიკალური შესაძლებლობა, ეს შანსი, რომ აღვდგინოთ სამხედრო თვითმფრინავების წარმოება“.

„ჩემთვის ცოტა უჩვეულოა ახლა, ამ ამპლუაში საზოგადოების წინაშე წარდგენა. მე მესმის ძალიან კარგად, რომ ეს დამაკისრებს უდიდეს პასუხისმგებლობას ჩვენი ხალხისა და ქვეყნის წინაშე, პირველ რიგში საამაყო ჯარისკაცების წინაშე. მე ყოველთვის მქონდა უკმარისობის განცდა, ჩემი მინისტრობისა თუ პრემიერ-მინისტრობის პერიოდში ბოლომდე ვერ დავიხარჯე ჯარისთვის“.

ირაკლი ღარიბაშვილმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოში უნდა ვაწარმოოთ ტყვია-წამალი და ბევრი რამ, გარდა ბირთვული იარაღისა. ამ ინიციატივამ, რა თქმა უნდა, ქირქილი გამოიწვია „ნაცმოძრაობაში“ და უკვე დაიწყო პროპაგანდა, თურმე არ შეიძლება საბრძოლო ტყვიის წარმოება, რადგან ის შეიცავს ტყვიას. არადა, ალბათ გახსოვთ, მიხა სააკაშვილი რომ ლაპარაკობდა „ლაზიკებსა“ და ტყვია-წამალზე.

ჩემი აზრით, საქართველოში უნდა ვაწარმოოთ არა მხოლოდ საბრძოლო იარაღი და ტყვია-წამალი, არამედ „გარშოკებიც“ და პამპერსებიც „ნაციონალური მოძრაობისთვის“, არჩევნები ახლოვდება, დასჭირდებათ. რაც შეეხება „გირჩსა“ და მის ნარკოტიკებში ჩამპალ ლიდერს, ზურაბ გირჩს (ჯაფარიძეს), ეგრევე გამოტყლარჭეს ტელეეკრანებზე და ღარიბაშვილს დაემუქრა, თუ ჩვენს რელიგიურობას შეეხები, „ასავალ-დასავალში“ გახვეულს დაგტოვებთ სამინისტროსთანო. არა, ამ გირჩისთავმა თვითონაც კარგად იცის, რომ ვერავის ვერაფერს გადაუღუნავს, მაგრამ როცა კაიფშია, ყველაფერზე მიდის, ამ დროს ისიც კი შეუძლია, მთაწმინდიდან გამოქანდეს და თავისუფლების მოედანზე ნებისმიერს დაასკდეს.

ვულოცავთ ირაკლი ღარიბაშვილს საქართველოს მთავრობაში დაბრუნებას, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, გამძლეობას და უამრავ წარმატებას!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

## რეპლიკა



**სიმართლე გითხრათ, ირაკლი ღარიბაშვილის კანდიდატურის წარდგენა თავდაცვის მინისტრის პოსტზე თავიდან მაინცდამაინც დიდად არ გამხარებია, რადგან მას სულ სხვა ამპლუაში წარმოვიდგენდი, მაგრამ როცა ბატონი ირაკლის გამოსვლას ვუსმინე პარლამენტში, მან იმდენად მნიშვნელოვანი და სახელმწიფოებრივად სწორად აგებული გეგმა წარმოადგინა, აზრი რადიკალურად შემეცვალა.**

**თითქოსდა გასაკვირია, საიდან ჰქონდა სამხედრო საქმეებში ნაკლებად ჩახედულ სამოქალქო პირს სამხედრო დარგის განვითარების ასეთი ზუსტი და ყოვლისმომცველი კონცეფცია?**

**როგორც ჩანს, მთავარია, შენი ქვეყანა ისეთი გულწრფელი სიყვარულით გიყვარდეს, როგორც ირაკლი ღარიბაშვილს უყვარს, მერე კი ეს სიყვარული თვითონ წაგიყვანს სწორი გზით, თვითონ დაალაგებს და თვითონ მიუჩენს ყველაფერს თავის ადგილს, თვითონ გათქმევინებს ყველაზე მართალ და გულწრფელ სიტყვას და ისეთ სამოქმედო გეგმასაც გიკარნახებს, რომელიც ქვეყანას აუცილებლად მოუტანს წარმატებას და გამარჯვებას.**

**ვახტანგ ხარჩილავა**

# საქართველო – КГБ-ს მარადიული მძევალი

სახელმწიფო დამოუკიდებლობა კი გამოვაცხადეთ, მაგრამ ფაქტობრივად, წარმოდგენაც კი არ გვქონდა შემდგომში რა უნდა გვეკეთებინა ქვეყნის განსავითარებლად. ზოგს ისიც ეგონა, ხელის განძრევა არ დაგვჭირდებოდა, დასავლეთი მოგვიტანდა მატერიალურ კეთილდღეობას. 80-იანი წლების მიწურულს, უამრავი პარტია შეიქმნა, ყველას ერის გადამრჩენად აცხადებდა, ერთმანეთს დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს, მაგრამ საზოგადოება უკვე ხვდებოდა, რომ ეს „ბატალიები“ მათ ხელისუფლების სათავეში მოსვლას ემსახურებოდა. ეკონომიკის განვითარებაზე ზრუნვის ნაცვლად, ერი ლამაზი სიტყვების რახარუხით გააბრუეს და გაამათხოვრეს. პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ დავით გაგნიძის განცხადებით, სანამ საქართველო დამოუკიდებლობა-თავისუფლების მოსაპოვებლად იბრძოდა, არც კომუნისტური პარტია კარგავდა დროს და ერთგულ შვილობილ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტთან („კაგებე“) უნისონში, ყველა სამინისტროს, განსაკუთრებით ძალოვან უწყებებს ერთგული კადრებით აკომპლექტებდა. საქართველოში ამ ყველაფერს „კაგებეს“ ადგილობრივი „ფილიალის“ ის კონტიგენტი ახორციელებდა, რომლებიც შემდგომ „წარმატებულ“ ბიზნესმენებად იქცნენ. საკავშირო უშიშროების კომიტეტის გაუქმების შემდეგ, ადგილობრივი „კაგებეშნიკები“ მსხვილ საწარმოებისა თუ კერძო ფირმების უშიშროების სამსახურებში გადაუნაწილებიათ, ხელფასებსაც იქვე იღებდნენ, რადგან სახელმწიფო ვეღარ უხდიდაო. რესპოდენტის განცხადებით, საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესი მიხეილ გორბაჩოვის გაპირველკაცებამდე, რუსეთში 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან ემზადებოდნენ ამისთვის, რადგან აშკარად ჩანდა, რომ ქვეყანის განვითარება დამუხრუჭდა, შეინიშნებოდა რყევები. ცოტა მოგვიანებით რუსეთშივე ჩამოყალიბებულა სამი სერიოზული ძალა, პირველი — კომუნისტური პარტია მისი ერთგული „კაგებეთი“, მეორე, ლიბერალები, რომლებთაც აშკარად სურდათ საბჭოთა იმპერიის დაშლა-დაპყრობა. ეს უკანასკნელნი ძირითადად, სიონისტური, მასონური ძალები იყვნენ, რომლებიც სხვადასხვა მომხიბლავი ლოზუნგით ცდილობდნენ მოსახლეობისთვის თავგზის აბნევას და მესამე, პატრიოტული ძალები, რომლებმაც ზუსტად თუ არ იცოდნენ, ხვდებოდნენ მაინც რა ხდებოდა, მაგრამ ძალა არ შესწევდათ უცებ „გამოფხიზლებული“ ხალხისთვის წინამძღოლობა გაეწიათო. სახელმწიფოს მთელი სიმდიდრე პირველი ძალის ხელში იყო, რომელსაც სურდა, ადრე თუ გვიან იმპერიის აღორძინება, მაგრამ იდეოლოგიურად გაკოტრებულნი აღმოჩნდნენ. კომუნისტებს ხელი მაინც არ ჩაუქნევიათ, მიზნის მისაღწევად გასაიდუმლოებული მოქმედება დაიწყეს, ამ პროექტის ნაწილი ყოფილა პარტიის ქონების შენარჩუნებაც.

ბუნებრივია, იგივე მოვლენები განვითარდა საქართველოშიც, რომელსაც კრემლი ვერაფრით შეელეოდა. საქართველოს ხელისუფლებაში საკვანძო თანამდებობებზე დანიშნული, ეკონომიკური ბერკეტების მქონე ნაძირალების ძირითადი მოვალეობა იყო, აქ მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციების მოპოვება და მოსკოვში გადაგზავნა, ქვეყანაში მოქმედი საწარმოების დანგრევა-გაპარტახებისთვის ხელის შეწყობა, კრიმინოგენური სიტუაციის ხელოვნური დაძაბვა, ეროვნულ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის ბზარის გაჩენის მიზნით, ხელისუფლების წარმომადგენლებზე ჭორების გავრცელება, ერთი სიტყვით, სამხედრო გადატრიალებისთვის ნიადაგის მომზადება. სანამ ჩვენ ეიფორიაში მყოფები, ქვეყნის შემდგომ წარმატებებზე ვფიქრობდით, რუსეთის „წითელ ფრთას“ ფაქტობრივად, ყველაფერი გადაწყვეტილი ჰქონდა და შესაფერის დროს ელოდა. გულუბრყვილობა იყო იმის დაჯერება, რომ კომუნისტები არჩევნებით დათმობდნენ საქართველოს, მათ მხოლოდ ფორმალურად დათმეს ხელისუფლება.

1991 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ იწყება საქართველოს ნგრევა-გაჩანაგება, რაც ასევე გეგმის ნაწილი იყო. პუტჩიდან მოკლე ხანში „ძე-შეცთომილი“ ედუარდ შევარდნაძე დაგვიბრუნდა მოსკოვიდან, ხელისუფლების სათავეშიც მობრძანდა და დაიწყო ახალი ინტრიგების ხლართვა, რისი „სწორუპვარი“ დიდოსტატიც გახლდათ.

ცნობისთვის, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას საქართველოს მოსახლეობისთვის არავითარი ვალი და ვალდებულება არ დაუტოვებია, არც ქვეყნის ეკონომიკა გაუპარტახებია, ისე, პირველ პრეზიდენტს არც ჰქონია ქვეყნის ეკონომიკასთან შეხება, მას მხოლოდ პოლიტიკური „ძალაუფლება“ გადაულოცეს, ეკონომიკურ ბერკეტებს ისევ კრემლი ფლობდა. რესპოდენტი აცხადებდა, რომ გამსახურდიამ ეკონომიკის მიმართულებით ერთი მცდარი ნაბიჯი მაინც გადადგა, როდესაც რუსეთს ეკონომიკური ბოიკოტი გამოუცხადა. ქვეყნის და შესაბამისად მოსახლეობის გაღატაკების მიზეზად კომპეტენტური ადამიანები ეროვნული ვალუტის არქონას თვლიან. დავით გაგნიძის განცხადებით, სახელმწიფოს უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ფულადი მაჩვენებელი უნდა ჰქონდეს, რა დაემართა ლარის წინამორბედ ეროვნულ კუპონს ნაც-„პროფესორა“ რომან გოცირიძის ვიცე-პრემიერობის დროს ყველას კარგად მოეხსენება „კლიკუზა“ — ალ კუპონეც მაშინ შეარქვეს ამ არამკითხე ჭკუისმასწავლებელს, „მოწყალე“ ღიმილით რომ „გვმოძღვრავს“ ხოლმე ნაცმადიდებელი ტელევიზიებიდან. შევარდნაძის მმართველობის საწყის ეტაპზე დაწყებული ფარული პრივატიზაციის პროცესი, ნაცების „ზეობისას“ დაჩქარებული ტემპით გაგრძელდა და „ავ ენებს“ თუ დავუჯერებთ, ფრიად „გაწონასწორებული“ კვირიკაშვილის პრემიერობის დროს, განმეორებით შთაებერა სული. შევარდნაძის მთავრობამ მართალია, ხალხს მოგვიანებით ე.წ. ვაუჩერები დაურიგა, მაგრამ პროფესიონალები ამ პროცესსაც დიდ ფარსად აფასებენ და იმაზეც თანხმდებიან, რომ ხალხისთვის ანაბრების მასიური მოპარვა, საქართველოს რუბლის ზონაში ყოფნამ გამოიწვია. შეიქმნა მრავალი კერძო ბანკი, რომლებსაც პირამიდები გაათამაშებინეს, რაც ისევ მოსახლეობის ხარჯზე მოხდა. მიზანმიმართულად დაიწყეს უზარმაზარი კრედიტების გაცემა, რათა ეროვნული კუპონის ჰიპერინფლაცია მოეხდინათ. ხელოვნურად შექმნეს ეკონომიკური სიდუხჭირე, რითაც მოსახლეობის გარკვეული მოაზროვნე ნაწილი აიძულეს ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთში გადახვეწილიყოო.

საბჭოთა კავშირის დემონტაჟისთვის მზად მყოფი რუსული სპეცსამსახურების სამოქმედო გეგმის, რომელიც მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეს მოიცავდა, საწყისი ეტაპი იყო ყველა ჯურის დამნაშავის ციხიდან გამოშვება. ამას მოყვა სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის დაწყებამდე ფასების გათავისუფლება, რამაც მანეთის (რუბლის) ჰიპერინფლაცია გამოიწვია მოსალოდნელი შედეგით — ეკონომიკური ქაოსი. ბუნებრივია, ამღვრეულ წყალში თევზს ყველაზე უკეთ „კაგებე“ დაიჭერდა, რადგან ის ამ უზარმაზარი ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე ერთადერთი კარგად შეკრულ-შედუღაბებული ორგანიზაცია იყო, რომელსაც ყველა და ყველაფერი ემორჩილებოდა. ამ მძლავრი სპეცსამსახურის შემწინააღმდეგებელი, იმ დროს მოთარეშე კრიმინალების „შემთხვევითი“ ან შეკვეთილი მსხვერპლი გახდებოდა. როგორც სანდო, კარგად ინფორმირებული წყარო აცხადებდა, საქართველოში ე.წ. საძმოები სწორედ „კაგებეს“ ხელდასმით შეიქმნა, თუმცა მოგვიანებით „ვერის საძმოს“ გარდა, ყველა ალაგმეს და გაანადგურეს. ეს დაჯგუფება უვნებლადაც გადარჩა და ყველა მსხვილ ბიზნესში მისი წევრები არიან, ზოგი სახელმწიფო მოხელეც გახდაო და მაგალითად, აწ გარდაცვლილ ნიკა რურუას ასახელებდა.

გაიხსენეთ, პრეზიდენტი სააკაშვილი როგორ აბარებდა ნიკა რურუას ანგარიშს თუ რა გაკეთდა, განა ვინ იყო რურუა იმისთანა, რომ პრეზიდენტს მისთვის ანგარიში ჩაებარებინაო. ნიკა რურუა, თავის დროზე ზურაბ ჟვანიამ ჩამოიყვანა ამერიკიდან, რომელიც ხვდებოდა საქართველოში მიმდინარე პროცესებს საეჭვო რეპუტაციის ხალხი რომ ჭირდებოდა, რურუას ფრიად „აღზევება“ კი სააკაშვილის დამსახურებაა. პატარა „ზარალას“ მამა საქართველოს ცეკაში ინსტრუქტორად იმ პერიოდში მუშაობდა, როცა რესპუბლიკის კომპარტიაში სულ ოთხი ინსტრუქტორი იყო. მამა რამიშვილის „ზეობისას“ (1987–88 წწ) ჩამოყალიბდა ე.წ. ვერის საძმო, ოღონდ სხვა სახელით, ვინმეს ეჭვი ეპარება რომ „კაგებემ“ ჩამოაყალიბა, თუ რუსეთსა და ამერიკას შორის კავშირი არ იყო, რა უნდოდა „კაგებეს“ პირმშო რურუას აშშ-ში? თავის დროზე მიხეილ სააკაშვილიც „ჩანერგეს“ შევარდნაძის გარემოცვაში, რომლის კარიერაც ასევე „კაგებეს“ უკავშირდება, ბიძამისის თემურ ალასანიას მეშვეობით. თსუ-ს მისაღებ გამოცდებში ჩაჭრილი სააკაშვილის კიევის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში მოწყობა ძია თემურის დამსახურებაა, იქ ძირითადად „ნომენკლატურული“ პერსონების საახლობლო ირიცხებოდა, მით უმეტეს, ერთხელ უკვე „ჩაჭრილ“ კაცს, სერიოზული „რეკომენდატორი“ დაჭირდებოდა. სააკაშვილმა კიევშიც ვერ „გაქაჩა“, მესამე კურსიდან გარიცხეს, როცა ეს ამბავი „გაუბაზრეს“, ე.წ. პროდასავლელმა პრეზიდენტყოფილმა








არც აქ უღალატა ჩვეულებას და გარიცხვა კომიკური მიზეზით ახსნა, დისიდენტობის გამო დამსაჯესო. ენაკვიმატ ქართლელებს საакაშვილის დისიდენტობამ, ვირისა და ჩონგურის დუეტი გაახსენა. მიშა-„დისიდენტმა“ ატლანტის ოკეანე გადაცურა და აშშ-ში ამოყო თავი, თვითონ კი ამტკიცებს კოლუმბიის უნივერსიტეტი დავამთავრეო, მაგრამ „ავ ენებს“ არც ეს „აღიარება“ ყოფნით სასაცილოდ, ამ ცრუპენტელას ამერიკაში რაღაც ექვსთვიანი კურსები აქვს დამთავრებულიო. ერთმა პოლიტიკოსმა ისიც თქვა, მიშას ამერიკული „საგანმანათლებლო“ ვოიაჟი ჯაბა იოსელიანმა დააფინანსაო. რატომ უნდა დაეფინანსებინა „კაგებეშნიკის“ დისწულის ცოდნის „გაღრმავება“ ე.წ. კანონიერ ქურდს, თუ კრიმინალურ სამყაროსა და ამ სპეცსამსახურს შორის ალიანსი არ იყო, აცხადებდა კომპეტენტური წყარო, რომლის მტკიცებითაც „შავ სამყაროს“ სწორედაც „კაგებე“ კურირებდა. სხვათა შორის, სააკაშვილიც ჟვანიამ ჩამოიყვანა ამერიკიდან და შევარდნაძეს გააცნო. ქართულ სპეცსამსახურებს მრავალი წლის წინ ჰქონიათ ინფორმაცია, რომ 1984 წელს მოწყობილ ქურდულ „სხადნიაკზე“ გადაწყდა, შეერჩიათ ახალგაზრდები, რომლებსაც დააფინანსებდნენ და საზღვარგარეთ სასწავლებლად გაუშვებდნენ. დაბრუნების შემდეგ, ამ კონტიგენტს ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის მთავრობაში „ჩანერგავდნენ“. სააკაშვილი კი გაიშიფრა, მაგრამ რამდენი ასეთი „კაგებესა“ და „შავი სამყაროს“ მიერ დაფინანსებულ-შეგზავნილია თუნდაც დღევანდელ ხელისუფლებაში არავინ იცის, მათზე არანაირი დოსიე არ არსებობსო, ყოველ შემთხვევაში ჩვენს სამართალდამცავებს არ გააჩნდათ. დაფინანსებულ-შეგზავნილების სია მარტო „შავი სამყაროსა“ და რუსული სპეცსამსახურების რეზიდენტებით არ შემოიფარგლება, ზოგი მათგანი რამდენიმე „ბატონის“, ანუ სპეცსამსახურის მსახურიცაა. არასამთავრობო სექტორში დაფრთიანებული და შემდეგ საჯარო ფიგურებად ქცეული კონტიგენტიც სერიოზულ ეჭვებს ბადებს საზოგადოებაში, ვერ გარკვეულა, რეალურად ვის ინტერესებს ემსახურება ეს ხალხი, საქართველოს ინტერესებს რომ არ ემსახურებიან, ამაზე ყველა თანხმდება.

„ვარდების რევოლუციის“ აქტიური „შემოქმედი“ და მხარდამჭერიც ზემოხსენებული კონტიგენტი იყო. დავით გაგნიძის აზრით, ამ ე.წ. რევოლუციამ გაცილებით დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს, ვიდრე მონღოლმა დამპყრობლებმა. ამ სახელმწიფო გადატრიალება „კაგებეს“ აგენტურის შთამომავლებმა და თავადაც ამ სამსახურის გადაბირებულებმა მოახდინეს. იმიტომაც გაყარეს ქართული უშიშროების სამსახურიდან და სხვა უწყებიდანაც, ეროვნულად მოაზროვნე პროფესიონალი კადრები. „ცენტრიდან“ მითითებასაც რომ თავი დავანებოთ, თვითონაც არ აწყობდათ იმ კონტიგენტის ძალოვან სტრუქტურებში მუშაობა, ვინც მათი არცთუ სახარბიელო წარსული კარგად იცოდა. გასული საუკუნის 90-იანი წლები, მასობრივი განუკითხაობის, ქვეყნისთვის უმძიმესი პერიოდი, ცალკე გამოკვლევისა და დეტალური გაანალიზების საკითხი რომ არის, რესპოდენტიც ადასტურებდა და იმედოვნებდა, რომ სახელმწიფო დონეზე დადგება ეს საკითხი. ის იყო დრო, როცა კრიმინალური ჯინი ბოთლიდან ამოუშვეს, რომელიც ანადგურებდა მორალსა და ზნეობას, ეს იყო სისხლის, ცრემლის და ფულის კულტის დრო. საბჭოურმა კრიმინალური სამყაროს ელიტამ, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, სპეცსამსახურები აკონტროლებდნენ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პოსტსაბჭოთა სივრცე დატოვა. რესპოდენტის განცხადებით, ქურდულ სამყაროს მაინც ჰქონდა თავიანთი „კანონები“, ასე აღვირახსნილად ვერ გაუსწორდებოდნენ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, როგორც მათი „მემკვიდრეები“, ანუ „ბესპრედელშჩიკები“ იქცეოდნენ. ეს კასტა მოგვიანებით „ვარდოსნების“ სახით მოგვევლინნენ, ოღონდ უკვე ევროპულ კოსტუმებსა და ჰალსტუხებში გამოწყობილები და საბოლოოდ ჩაიგდეს ხელში ხელისუფლების სადავეები. რესპოდენტის განცხადებით, მათ ზუსტად შეეფერება სახელი ორგანიზებულ-დანაშაულებრივ საზოგადოება. ეს პირთა ჯგუფი წყვეტს, ვინ გახდეს „კანონიერი ქურდი“, ვინ პოლიტიკური ფიგურა, ვინ ბიზნესმენი, ვინ სამართალდამცავი და ა.შ. იდეა ერთია, როგორმე მოვიდეს მათი ე.წ. საზოგადოება ქვეყნის სათავეში კანონზე მაღლა დადგეს. „კანონიერმა ქურდებმა“ თითქოსდა ნებაყოფილობით გადასცეს კრიმინალური „დაფნის გვირგვინი“ „ბესპრედელშჩიკებს“, სინამდვილეში ეს ვიღაცის ბრძანებით მომხდარა. საქართველოს ჯერ „კანონიერი ქურდი“ მართავდა თავისი „მხედრიონით“, მოგვიანებით „მხედრიონიდან“ გამოსული ე.წ. საძმოები განაგებდნენ და დღესაც განაგებენ თავიანთ მიერვე მიღებული ე.წ. სახელმწიფო კანონებით, რომლებსაც მათი „ჯიბის“ პარლამენტები ღებულობდნენ.



საქართველოს ორგანიზებულ-დანაშაულებრივმა საზოგადოებამ მშვენივრად მოირგო „წამებულთა“ მანტია, ზოგიერთი ხომ ამბობს კიდეც, ამ ქვეყნის სიყვარულისთვის ვიჯექი საბჭოურ „ლაგერშიო“. სინამდვილეში ამ „წამებულებმა“ წარმატებით შეასრულა მათ წინაშე დასახული ამოცანები: პირველი, რუსეთის დავალება მსოფლიოს დაენახვებიათ, რომ შეუმდგარი, ჩამოუყალიბებელი ქვეყანა ვართ და სხვისი კარნახის გარეშე, ვერასოდეს ავაშენებთ სახელმწიფოს; უპირობოდ შეასრულეს აშშ-ის ყველა დავალება საკუთარი ქვეყნის გაყიდვის საქმეში. ნაცხელისუფლებამ ყველასიბინძურე იკადრა, ქვეყნიდან მასობრივად გაყარა აბორიგენი მოსახლეობა, დემოკრატიის პრინციპებს ამოფარებულმა, პრაქტიკულად მოსპო თაობები და წამყვანი მოაზროვნეებიც ზედ მიაყოლა. ამ ორი ამოცანის შესრულებით, შემდგომი „მოღვაწეობისთვის“ მნიშვნელოვანი მატერიალური მოგება მიიღეს, თუმცა მიიჩნევენ, რომ მათ უღალატეს, თორემ უფრო მეტის „აშენება“ შეეძლოთ.





ზემოაღნიშნულ თემებზე სტატიებს რომ ვამზადებდი, ერთმა ფრიად ჭკუასაკითხავმა კაცმა მითხრა, საქართველოს უმთავრესი პრობლემა ისაა, რომ დამოუკიდებელ რესპუბლიკად ფორმალურად ვიწოდებით, რეალურად იმ სისტემის გაგრძელება ვართ, რასაც საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტი ერქვა, არ მომხდარა კავშირის ჩაჭრა და განცალკევებაო. რამდენჯერმე კი იყო მცდელობა, ამ სისტემასთან კავშირში ხალხის გამოაშკარავება მომხდარიყო, მაგრამ ვერაფერს მივაღწიეთ, 28 წლის მანძილზე ვერცერთმა ხელისუფლებამ ვერ თუ არ მიიღო ლუსტრაციის შესახებ კანონიც კი. დღემდე ამიტომაც არ ვიცით, რეალურად ვინ მართავს სახელმწიფოს თუნდაც უშიშროების კუთხით. „კაგებეს“ აგენტები არავის გაუშიფრავს, ე.წ. ჩამშვებების „კონტიგენტი“ ათეულ ათასობით პერსონას ითვლის, მათ თავიანთი წარსულის გამო, როგორც უნდათ, ისე იყენებენ. რამდენი ასეთი კადრი მუშაობს მარტო უშიშროების სამსახურსა და შსს-ში კი არა, სხვა სახელმწიფო სტრუქტურებშიც საპასუხისმგებლო თანამდებობზე დღემდე არ ვიცით. არადა ეს ხალხი ფაქტობრივად უცხოური სპეცსამსახურების აგენტები არიან, დარწმუნებული ვარ, ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში მრავლად არიან საკუთარი წარსულის მძევლებიო. ჩვენს რესპოდენტებს (კომპეტენტურ ადამიანებს) უფრო ის ვერსია მიაჩნდათ სიმართლედ, რომ საქართველოს ხელისუფლებებმა ლუსტრაციის კანონი არ მიიღეს, ამ კანონის მიღების აუცილებლობაზე ეროვნულმა ხელისუფლებამ დაიწყო საუბარი, მაგრამ თავად პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თქვა უარი. კრემლის აგენტებზე საუბარიც პირველად მან დაიწყო და როგორც მოგვიანებით გაირკვა, სერიოზული საფუძველი ჰქონდა. საუბედუროდ, მის გუნდშიც საკმაოდ იყვნენ ასეთი პერსონები და არ არის გამორიცხული, სწორედ მათ გადააფიქრებინეს ამ კანონის მიღებაო. სანდო წყაროს ცნობით, „კაგებე“ დისიდენტებში ყოველთვის ნერგავდა თავის აგენტურას, ეს პროცესი 80-იანი წლების მეორე ნახევარში გააქტიურდა, იმ დროს, როცა ეროვნული მოძრაობის დიდი ტალღა აგორდა. ყველა დისიდენტი არ ყოფილა პატრიოტი და სპეტაკი რეპუტაციის მქონე.

არც ისაა გამორიცხული, დღესაც თანამშრომლობდეს „კაგებეს“ მემკვიდრე სპეცსამსახურებთან. ის ხალხი, ვინც ეროვნულ ღირებულებებს არ უღალატა, გაურკვეველ ვითარებაში მოიშორესო. ხელისუფლებაში „ჩანერგილ“ უცხო ქვეყნების აგენტურაზე როცა ვსაუბრობთ, ეს მარტო რუსეთს კი არ ეხება, მოგვიანებით ვინ გადაიბირეს სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურებმა ეს ცალკე საკითხია. ისე, შანტაჟის გზით არც „კაგებეს“ აგენტის გადაბირება უნდა წარმოადგენდეს დიდ პრობლემას, იმის შიშით, წარსული არ „გამიბაზრდესო“, მით უმეტეს, როცა პროდასავლურობაზე აქვს დიდი პრეტენზია ამ პერსონას, არაფერია გამორიცხული. არ დაგვავიწყდეს, რომ ორმაგი აგენტის მცნება სამყაროსავით ძველია. ერთ-ერთ ჩვენს ძალოვან სტრუქტურაში მეზობელ სახელმწიფოს რამდენიმე აგენტი ჰყოლია, ეს არ ყოფილა რუსეთი, ოღონდ წყარომ მეზობლის დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა. აგენტურა მაშინვე იშიფრებოდა, მწირი ხელფასის მქონე თანამშრომელი განცხრომით რომ ცხოვრობდა, ხომ გაგიჩნდებოდა ეჭვი, საიდან ჰქონდა ამდენი ფული. ნახეთ, როგორ გადაწყვიტეს აგენტურის პრობლემა ბალტიისპირეთის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებმა, დამოუკიდებლობის მიღებიდან მოკლე ხანში მოახდინეს ლუსტრირება, ყველა აგენტი გაშიფრეს და გაცხადეს, რომ სახელმწიფო სამსახურში საპასუხისმგებლო თანამდებობებს ვერ დაიკავებდნენ. იგივე მოხდა გერმანიის გაერთიანების შემდეგაც, გაირკვა, რომ ყოფილი გდრ-ის ყველა მესამე მცხოვრები გერმანული სპეცსამსახურის „შტაზის“, შესაბამისად „კაგებეს“ აგენტი იყო. საქართველოშიც არ იქნება ნაკლები, მათ შორის, პოლიტიკურ სპექტრში, აქედან გამომდინარე, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ისევ „კაგებე“ გვმართავს. ჩვენ ლუსტრაციის გარეშე რომ ვცადეთ დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენება, იმიტომაც არაფერი გამოგვივიდა. უნდა ვიცოდეთ, რა კატეგორიის ხალხს აქვს ქვეყნის მართვაზე პრეტენზია, ზოგიერთს კომუნისტურ, უფრო ზუსტად „კაგებეშნიკურ“ წარსულთან გამიჯვნა, მარტო საბჭოურ სიმბოლიკებთან ბრძოლა ჰგონია. ისე, ყველაზე მეტს ის ხალხი ყვირის, რომლებსაც არცთუ უმწიკვლო წარსული აქვს, მოგეხსენებათ, ქურდს ქუდი ეწვის.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# რატომ გაანდეს რუსებმა სანდრას უდიდესი საიდუმლო, ანუ რა განსხვავებაა ტელევიზიასა და ზარბაზანს შორის?

ადრეც დავწერე და კიდევ ერთხელ ვიმეორებ: დღემდე ბევრს ჰგონია, რომ საქართველოში ტელევიზია არის არა ინფორმაციის გავრცელების საშუალება, არამედ ხელისუფლების დასამხობი იარაღი. პრინციპში, რატომაც არ უნდა ეგონოთ, როცა აქამდე არაერთხელ გამოუვიდათ? თუმცა, რატომღაც, ვერ ხვდებიან, რომ ეს დრო წარსულს ბარდება – ბოლო გაფართხალება გახლდათ „რუსთავი 2“. ვიცი, ახლა მკითხავთ, პაპიროსის მაგნატ ავთო წერეთლის „ტვ პირველი“ იგივეს არ აკეთებსო? მე გპასუხობთ: დიახ, იგივეს აკეთებს, მაგრამ ეს იმდენად კომიკურად გამოსდის, ამათ პროფესიონალიზმზე ნორმალური ადამიანი ძალიან ბევრს იცინებს. ისე, რაღა დაგიმალოთ და... რთულია, ითამაშო ობიექტური ჟურნალისტის როლი, როცა ზემდგომებისგან „მნიშვნელოვანი“ დავალებები გაქვს მიღებული: იქით კევლლაჭუნა ავთო წერეთელი უნდა „აპრავო“, აქეთ – მევახშე მამუკა ხაზარაძე უნდა აქციო რაინდად, თან გაქსუებულ-მოსყიდულ არასამთავრობოებს უნდა უგორო კოჭი, თან მოსახლეობას უნდა უმტკიცო, რომ ხელისუფლება გებრძვის და თავისუფალ სიტყვას საფრთხე ემუქრება. ჰო, კიდევ იმაზე უნდა იზრუნო, რომ რუსთაველზე, პარლამენტის წინ გაგარინ-მარქარიანებისა და



მშვილდაძეების ყროყინით საპროტესტო ტალღა ააგორო, პოლიტიკური ტემპერატურა ასწიო. მერე რა, თუკი ხალხი არ გამოდის ქუჩაში, დააყენე კამერა ცოტა ცერად და იმდენნი გამოჩნდებიან, თავადვე გაგიკვირდება. აი, აქ უკვე უნდა ჩართო „პროფესიონალ“ ჟურნალისტთა არმია, რომლებიც გაწვრთნილნი არიან სირბილში, ქოშინში, კვნესაში, ღრენაში, კბენასა და პირში მიკროფონის ჩაჩრაში. იმაზე, თუ როგორ აღზარდეს უტვინო მოჟურნალისტო ელემენტები წლების განმავლობაში, ამაზე წინა წერილში ვისაუბრე და აღარ გავიმეორებ.

სამწუხაროდ, ჩვენი ე.წ. პოლიტიკური ელიტის აზროვნების დონე ნულს ქვემოთ ჩამოვიდა და ამას ხელს უწყობენ ტელევიზიები. ნახეთ, ვის იწვევენ თოქ-შოუებში, რა კატეგორიის ხალხი გველაპარაკება ყოველ საღამოს ტელეეკრანიდან. ესენი არიან ადამიანები, რომლებსაც საკუთარ ოჯახებშიც კი არ აქცევენ ყურადღებას, მაგრამ მათ კარგად შეუძლიათ პირდაპირ ეთერში ჩხავილი, ხელების პარჭყვა, შეურაცხმყოფელი სიტყვების ბრახუნი და ასე შემდეგ. საინტერესოა, რატომ უნდა გველაპარაკებოდნენ მორალზე, სინდისზე, ნამუსსა და სხვა ღირებულებებზე ვინმე დავით ნებიერიძე, რომელსაც საკუთარი ცოლ-შვილისთვის ვერ მიუხედავს და ვიღაცასთან ცხოვრობს, როგორც ალფონსი... ბადრი შუბლაძე – ერთი ქენქერა კაცი, მეგი გოცირიძე – ერთი აშარი დედაკაცი, ვინმე ლევან ხაბეიშვილი – რომელსაც ოჯახის წევრებიც კი ვერ იტანენ... რომელი ერთი ჩამოვთვალო? ყველა ერთნაირი ზნედაცემული და გათახსირებულია. ჩვენ აქ უნდა დავფიქრდეთ, ტელევიზიები, რომლებსაც ასეთ თახსირებზე აქვთ გათვლა და ასეთი ბინძური ადამიანების წყალობით ცდილობენ რეიტინგის აწევას, თავადვე არიან თუ არა ზნედაცემულნი? რა თქმა უნდა, ისინი წარმოადგენენ იმავე ხროვას, ვისაც ასე რუდუნებით (ყოველდღე) იწვევენ გადაცემებში. ზოგნი ამბობენ, ასეთი დაბალი დონის სტუმრებს სპეციალურად „აბაირამებენ“, რათა ქვეყანა დაანგრიონ, ხალხი გადარიონ და განუკითხაობა დაამკვიდრონო. რასაკვირველია, არც უმაგისობაა, მაგრამ ჩემი აზრით, მდგომარეობა უფრო რთულია – თუ წამყვანების, ჟურნალისტებისა თუ ტელევიზიების მეპატრონეთა განათლება-მენტალიტეტს გადავხედავთ, იოლად მივხვდებით, ჩვენ საქმე გვაქვს არაპროფესიონალთა დოღთან, რომლებიც ცდილობენ, ყველა მნიშვნელოვანი და არამნიშვნელოვანი სტრუქტურა დაიკავონ. უფრო გასაგებად, რომ ავხსნა, ჩვენში დღეს უვიცნი აქტიურობენ ნებისმიერ რგოლში და აღწევენ ყოველ ღრიჭოში. უვიცს არ გააჩნია სინდისი, ნამუსი, არ



აქვს ლაგამი, მაგრამ სამაგიეროდ აქვს ყველაზე მეტი პრეტენზიები. ალბათ დამეთანხმებით, არაპროფესიონალთა თარეშმა ამ უბედურებაში საზოგადოების ერთი ნაწილიც ჩაითრია – გადახედეთ სოციალურ ქსელებს, გააჩერეთ ქუჩაში ნებისმიერი, საქართველოში ყველამ ყველაფერი იცის, ყველა გენიოსია და ყველა მზადაა, დაიკავოს ნებისმიერი თანამდებობა. თქვენ წარმოიდგინეთ, ამას აქვს ერთგვარი ახსნა: თუკი შესაძლებელია, ბადრი შუბლაძე დასვან სტუდიაში და ჭკუა ჰკითხონ, მაშინ რატომ არ შეიძლება, ქუჩაში მოხეტიალე ბოგანოს უნდოდეს პრემიერ-მინისტრობა?



კიდევ ერთი დეტალი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქართულ ტელემედიაში უვიცობა მძვინვარებს: დაუკვირდით (პრინციპში, დაკვირვებაც არ უნდა), როგორ მეტყველებენ საინფორმაციო გამოშვებებისა თუ თოქ-შოუების წამყვანები, რა ენაზე ლაპარაკობენ, როგორ იქნევენ ხელებს, როგორი მიმიკები აქვთ, როგორ უსისხლიანდებათ თვალები, როცა რუსთაველზე პროტესტანტების სიმცირეა, როგორი გამაღიზიანებელი ხმის ტემბრი აქვთ და ასე შემდეგ. ქართულ ტელესივრცეში (წლების განმავლობაში) ერთი და იგივე კასტა ტრიალებს, როგორც პოლიტიკაში. ძალიანაც რომ მოინდომო, ამ სივრცეში ვერ შეხვალ, ფეხს ვერ მოიკიდებ. აბა, დაიჯერებთ, რომ გადის ათეული წლები და ახალი თაობა არ იზრდება? ქართული ჟურნალისტიკა ერთი-ერთზე ჰგავს ქართულ პოლიტიკას, გამოდიან, ლაქლაქებენ, არიქა, ასპარეზი ახალგაზრდებს უნდა დავუთმოთო და ამ დროს ხელახლა წარმოგვიდგენენ დაობებულ ლევან ბერძენიშ-



ვილს, სარკოფაგიდან წამომდგარ კოტე კემულარიას და ნაადრევად გაფუჭებულ ნიკა მაჭუტაძეს. იგივე ხდება ჟურნალისტიკაშიც – ათასობით ახალგაზრდა ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს, ათასობით ახალგაზრდა ოცნებობს ტელევიზიაზე, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ ვხედავთ ახალ სახეებს, ისევ იმათ მიჰყავთ „პარადი“, რომლებიც ფაქტობრივად არც არიან ჟურნალისტები და მრავალ „ბარიერზე“ აქვთ გადახტომ-გადმოხტომის გამოცდილება.

უახლოეს ხანში ჩვენ გავხდებით ახალი ტალღის მომსწრენი, რამდენიმე ტელევიზიას ერთდროულად „აგუგუნებენ“ ავანტიურისტები – იქით კეზერაშვილი ამოქოქავს მიშა მშვილდაძის ხელით ახალ არხს, აქეთ ნიკა გვარამია გააკაშკაშებს თლა დამოუკიდებელ „მთავარ არხს“. ამ ტელევიზიებში გამოვლენ ძველი მამულიშვილნი და ილაპარაკებენ მორალზე, ადამიანის უფლებებზე, კორუფციაზე, ნამუსზე და რაც მთავარია, იმაზე, თუ როგორ ანგრევს ქვეყანას ბიძინა ივანიშვილი, როგორ დანიშნა რუსეთმა გიორგი გახარია პრემიერ-მინისტრად და როგორ აპირებს პუტინი ბიძინას მოკვლას. დიახ, რაკი რუსეთმა თავისი უკვე გაინაღდა, ივანიშვილი აღარ სჭირდებათ. სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ „ტვ პირველზე“ ეს ვერსია ნამეტანი სერიოზულად განიხილებოდა და ერთმა საყურიანმა, რომელიც რუსთაველზე ჩამოხმა, დასძინა, იმედი მაქვს, თუ კრემლი ამაზე წავა, საქართველო არ დაზიანდებაო. გაიგონეთ? თუ ივანიშვილს მოკლავენ, იმედი მაქვს, ქვეყანა არ დაზიანდებაო. რაღა დაგიმალოთ და... მიხო სააკაშვილმა ახალი ინტრიგა შემოუგდო თავი-



სიანებს გასავრცელებლად, ანუ სატელევიზიო გარჩევების საგნად: ესე იგიო, უთხრა სანდრას, ჩაფრინდები თბილისში, გახვალ აქციაზე და შოთა გაგარინს ეტყვი, რომ თურმე ბიძინა ივანიშვილს რუსები მოკვლას უპირებენ, ან მოწამლავენ, ან საერთოდაც გაიტაცებენ და გააქრობენ-თქვა.

თუ გაგარინი გკითხავს, რუსები რეიზა ემუქრებიან ბიძინასო, ეტყვი, რაკი რუსებმა თავიანთი კაცი გახარია უკვე დოუნიშნეს, აწი პუტინს აღარ სჭირდება და მოკლავს-თქვა.

გაგარინს გადაეცი, გადავიდეს მარქარიანებში და იქ დეიწყოს ლაპარაკი ამ თემაზე შეგნებულად. შემდეგ განგებ გაამახვილოს ყურადღება, თითქოს ბიძინას ყველა მინისტრი კრემლიდან იმართება და მისი ყველა მომხრე რუსეთუმეა.

ამის შემდეგ მარქარიანი უნდა მივიდეს ელენე ხოშტარიასთან სახლში, აიღოს „შვიშტოკი“, გაუაროს ნანუკა ჟორჟოლიანის გოგოს და ერთად წავიდნენ რუსთაველზე, სადაც დახვდებათ ყუბანეიშვილი კოტე და კოკინაშვილი ჯუმბერა.

მარქარიანმა და გაგარინმა უნდა უთხრან ყუბანეიშვილსა და კოკინაშვილს, რომ ძაან მაგრად აგინონ ყველას და ვისაც აგინებენ, მაგათ უნდა დოუკრან ტაში-თქვა!

**აი, ძვირფასო მკითხველებო, ეს არის ქართული ტელემედია, სადაც ყველაფერი ყარს და სადაც ყველაფერს მართავენ ავანტიურისტები, კევილლაჭუნა წერეთლები, მევახშე ხაზარაძეები, ნაპროკურორალ-ნახიმტარი გვარამიები, ავაზაკი კეზერაშვილები, „კაგებეშნიკი“ ალასანიები და მოღალატე სააკაშვილები.**



**ესენი აკეთებენ ტელევიზიებს იმისთვის, რომ ივანიშვილი მოკლან, ხალხი ააჯანყონ, პარლამენტში შევარდნენ და დაიბრუნონ ძალაუფლება...**

თუმცა მე გარწმუნებთ, მაგათ ტელევიზიები გახსნან კი არა, სულაც რომ პლასტიკური ოპერაციები ჩაიტარონ და გვარებიც გადაიკეთონ (ისედაც გადაკეთებული აქვთ), მაინც არაფერი გამოუვათ. მორჩა, წავიდა ის დრო, ტელევიზიას ზარბაზნად რომ ხმარობდნენ და მაგარი ეფექტი ჰქონდა.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# პოლიტიკური ქაოსი დიდ ბრიტანეთში

„ქაოსმა დაისადგურა დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს საშინაო პოლიტიკაში“, — ასე აფასებენ მსოფლიოს წამყვანი პოლიტოლოგები „ნისლიან ალბიონზე“ დღეს არსებულ სიტუაციას. პოლიტიკური დაპირისპირების მიზეზი კვლავ „ბრექსიტია“. გასულ კვირას დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელიზაბეთ II დაეთანხმა პრემიერ-მინისტრის ბორის ჯონსონის თხოვნას და პარლამენტის მუშაობა შეაჩერა 10 სექტემბრიდან 14 ოქტომბრამდე. თუმცა ამით არ დასრულდა პოლიტიკური დაპირისპირება.

არ გამართლდა ბრიტანელი ექსპერტების პროგნოზი, რომ „ბრექსიტის“ მოწინააღმდეგე პარლამენტარები 14 ოქტომბრიდან ორი კვირის განმავლობაში ვერ მოასწრებდნენ უპირობო „ბრექსიტის“ შემაკავებელი კანონის მიღებას. ერთ-ერთ მიზეზად ასახელებდნენ კონსერვატორების პარტიის (რომლის წევრიცაა ჯონსონი) პარლამენტში უმრავლესობაში ყოფნას. ვიდრე ძალაში შევიდოდა





პარლამენტის მუშაობის შეჩერების დადგენილება, გასულ კვირას პარლამენტის სხდომები გაიმართა.

ემოციურად წარიმართა საპარლამენტო სხდომები. ბორის ჯონსონი ლამის კბილებით იცავდა უპირობო „ბრექსიტის“ იდეას. იგი ფიქრობდა, რომ შეძლებდა მოწინააღმდეგეთა გადაბირებას, მაგრამ მოხდა პირიქით. პარლამენტის სხდომის მიმდინარეობისას კონსერვატორული პარტიის ერთ-ერთი წევრი დეპუტატი პროტესტის ნიშნად ოპოზიციის რიგებში გადაჯდა, რითიც კონსერვატორებმა დაკარგეს უმრავლესობა. ამის გარდა, სამმა მინისტრმა დატოვა თანამდებობა. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი მათგანი ბორისის ძმა ჯო ჯონსონი გახლდათ, რომელიც ღიად ეწინააღმდეგება უპირობო „ბრექსიტს“.

თანაპარტიელებისგან განწირული ბორის ჯონსონის მხარდასაჭერად ლონდონში სპეციალურად ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი მაიკლ პენსი, მაგრამ მას ვერ უშველა. უპირობო „ბრექსიტი“ დაუშვებლად მიაჩნია კონსერვატორების უმრავლესობასაც.

განაწყენებული ჯონსონი ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზეც კი ალაპარაკდა, მაგრამ საკითხი ჩაუვარდა. იმავე დროს, აღშფოთებულმა ჯონსონმა პარტიიდან 22 წევრი გარიცხა, რითიც კიდევ უფრო გაართულა მდგომარეობა. ბრიტანელი ექსპერტების შეფასებით, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები შესაძლოა ჯონსონის პოლიტიკური კარიერის საბოლოო დასასრულიც გახდეს.

საპარლამენტო სხდომებზე ოპონენტები პირად შეურაცხყოფაზეც კი გადავიდნენ. „...შენ კაცი არა ხარ, ჩვარი ხარ“, — უთხრა ჯონსონმა ერთ-ერთ მოწინააღმდეგეს, ლეიბორისტული პარტიის ლიდერს ჯერემი კორბინს. თავის მხრივ არც ლეიბორისტი დარჩა ვალში, თუმცა მათი სიტყვიერი შეხლა-შემოხლა ნაკლებად საინტერესოა.

საბოლოო ჯამში, პარლამენტმა შეძლო ბორის ჯონსონისთვის უპირობო „ბრექსიტის“ განხორციელების აკრძალვის დადგენილების მიღება. პრემიერ-მინისტრს საკანონმდებლო ორგანომ დაავალა ბრიუსელში ჩასვლა და ევროკავშირისთვის 2020 წლის 31 იანვრამდე „ბრექსიტის“ გადავადების თხოვნით მიმართა. პარლამენტს დაეთანხმა ლორდთა პალატა და თავის მხრივ აუკრძალა ჯონსონს უპირობო „ბრექსიტის“ განხორციელება, რაც უკვე აცნობეს ბრიტანეთის დედოფალს. ამასთან, ლორდთა პალატის წევრებს მიაჩნიათ, რომ ჯონსონმა მმართველობის ხანმოკლე პერიოდში (1,5 თვეში) ბევრი უხეში შეცდომა დაუშვა. ბრიტანეთის მომავლის ბედი ახლა დედოფალზეა დამოკიდებული, რას მოიმოქმედებს, უცნობია. ბრიტანული პრესა გაერთიანებული სამეფოს დაშლის საშიშროებაზე სულ უფრო ხშირად საუბრობს. შეძლებს თუ არა მონარქი ამ საფრთხის აცილებას, ამის შესახებ არაფერს ამბობენ.

თავად ბორის ჯონსონი ჯიუტად არ აპირებს დათმობაზე წასვლას. „...მირჩევნია, მოვკვდე, ვიდრე ბრიუსელში „ბრექსიტის“ გადავადების თხოვნით ჩავიდე. ყველაფერს გავაკეთებ, რათა „ბრექსიტი“ დათქმულ ვადაში 31 ოქტომბრამდე განხორციელდეს“ — განაცხადა ბორის ჯონსონმა. ამასობაში „ბრექსიტის“ მომხრე და მოწინააღმდეგეები ერთმანეთს უკვე ქუჩებში ფიზიკურადაც უპირისპირდებიან. რით დამთავრდება „ბრექსიტის“ გამო ჭიდილი, უახლოეს მომავალში გამოჩნდება.

გასულ კვირას რუსეთის ქალაქი ვლადივოსტოკი აღმოსავლეთ აზიის უკვე ტრადიციულ ეკონომიკურ ფორუმს მასპინძლობდა. ღონისძიებაზე წლეულს საპატიო სტუმრად ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნარენდრი მოდი იყო მიწვეული. აღსანიშნავია, რომ ინდოეთის მმართველს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან საკმაოდ თბილი ურთიერთობა აქვს. მათი ყველა შეხვედრა ჩახუტებით იწყება. ორ ქვეყანას მჭიდრო ეკონომიკური კავშირი, თითქმის 3-მილიარდიანი ტვირთბრუნვა აქვს. ამჯერად მოდი რუსული მრავალფუნქციური ვერტმფრენების შეძენით დაინტერესდა. უცხოელი სამხედრო ექსპერტების შეფასებით, რუსეთი შეიარაღების ვაჭრობაში მონოპოლისტი ხდება.

ვლადივოსტოკში ფორუმზე დასასწრებად უკვე მეოთხედ იმყოფებოდა იაპონიის პრემიერ-მინისტრი სინძო აბე. საინტერესოა, რომ ვლადიმირ პუტინს სინძო აბე უკვე 27-ედ შეხვდა. ფორუმზე იაპონიის მმართველს 500 ბიზნესმენი ჩამოჰყვა. აბე-პუტინის შეხვედრაზე საუბრის ერთ-ერთი ძირითადი თემა სადავო კურილიის კუნძულების დაბრუნების საკითხი იყო. ამაზე პუტინმა უკვე მერამდენედ თავაზიანი უარი უთხრა. ამასთან, აღნიშნა, რომ კუნძულებზე იაპონელებს უვიზოდ შეუძლიათ სტუმრობა. სინძო აბემ ასევე შესთავაზა პუტინს სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებაზე მუშაობის დაწყება. „...იაპონია საიმედო პარტნიორია, მისი უნდა გჯეროდეთ“, — უთხრა აბემ პუტინს. რუსეთის პრეზიდენტი თავაზიანად დაეთანხმა, მაგრამ იქვე გააპროტესტა აშშ-ის სარაკეტო დანადგარების იაპონიაში მოსალოდნელი განთავსება. „...იძულებული გავხდებით, ჩვენც მივიღოთ საპასუხო ზომები, რაც ორივე ქვეყნისთვის საფრთხის შემცველი იქნება“, — უპასუხა პუტინმა. ამ გარემოებას ყურადრება უნდა მიაქციონ ჩვენმა დიპლომატებმა — პირად ურთიერთობაზე მთავარი ქვეყნის ინტერესებია, სადავო საკითხის მოსაგვარებლად ზოგჯერ 27 შეხვედრაც არ არის საკმარისი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საფრანგეთში „დიდი შვიედულის“ სამიტზე ორგანიზაციის „რვიანად“ აღსადგენად მიწვევის განხილვისას, მართალია, იაპონიამ, კონკრეტულად სინძო აბემ ნეიტრალური პოზიცია დაიკავა, მაგრამ პოლიტოლოგების განმარტებით, იაპონია სისხლხორცეულად არის დაინტერესებული რუსეთის ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში ყოფნით. ამით ის იოლად შეძლებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

ვლადივოსტოკში ბრიფინგზე ჟურნალისტებმა ჰკითხეს ვლადიმირ პუტინს, თუ დაბრუნდება „დიდ რვიანში“ რუსეთი. „...ჩვენ ნებისმიერ საერთაშორისო ორგანიზაციასთან სიამოვნებით ვთანამშრომლობთ. „დიდი რვიანის“ ბოლო სამიტი რუსეთში უნდა გამართულიყო. ახლაც სიამოვნებით ვუმასპინძლებთ ღონისძიებას. თუ „რვიანის“ აღდგენა სურთ, ჩამოვიდნენ. საერთოდაც, ახლა შეიცვალა მსოფლიოში პოლიტიკური კონიუნქტურა — ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციის მუშაობა ჩინეთისა და ინდოეთის გარეშე წარმოუდგენელი გახდა“, — უპასუხა რუსეთის პრეზიდენტმა.

რა იგულისხმა პუტინმა განცხადებისას, მით უფრო, აბეს თანდასწრებით, ბევრისთვის გაუგებარი დარჩა, თუმცა პოლიტოლოგებმა ეს სამყაროს ახალი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების დაწყების მცდელობად შეაფასეს.

ავღანეთიდან აშშ-ის სამხედრო კონტინგენტის გაყვანის სურვილი არაერთხელ განუცხადებია პრეზიდენტ დონალდ ტრამპს. რამდენიმე დღის წინ სახელმწიფო მდივანმა მაიკლ პომპეომ განაცხადა, რომ ჯარების გაყვანა დროებით, გაურკვეველი ვადით გადაიდო. ამის მიზეზად გასულ კვირას ქაბულში განხორციელებული ტერაქტი დაასახელა, რომელსაც ერთი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე ემსხვერპლა. სავარაუდოდ, აზიის ქვეყნების ცხელ წერტილებში მშვიდობის დასამყარებლად ჯერ კიდევ დიდი დროა საჭირო, რაც მსოფლიოსთვის სახარბიელო არ არის, მაგრამ ასეთია სამწუხარო რეალობა.

**გია ბურდული**
551 71 27 07



# დრონი – მკვლელი ციდან

დღეს ადამიანებზე მონადირე სამხედრო ახალ ტექნოლოგიებზე გვიწევს ლაპარაკი. საფრანგეთის ეროვნული კვლევების ცენტრის ფილოსოფოსმა გრეგორ ჩემაიუმ ნაშრომში „ დრონის თეორია“ გამოიკვლია ეთიკური, ფსიქოლოგიური და იურიდიული საკითხები რომლებიც შორ მანძილზე ომის წარმოებას ეხება.

მონადირე მკვლელი დრონები, ესაა ფუტურისტული სამხედრო ტექნოლოგია რომელიც უარყოფს ომის ისტორიულ, ჩვეულ, ჩვეულებრივ ფორმებს. აღარაა ფრონტის, ხაზოვანი ბრძოლის, მებრძოლთა პირისპირ შეჯახების, და ასე შემდეგ კონცეფციები. ასე ვთქვათ ომი ეფუძნება დრონის მმართველის მაქსიმალური უსაფრთხოების ლოღიკას რომელიც ამართლებს საშიშ ინდივიდებად მიჩნეულთა წინასწარ მოსპობას რაც იღებს გაუსამართლებლად მოკვლის სახეს. „საჭიროა მეთვალყურეობა და დასჯა“. დრონი თითქოს გადაიქცა ღმერთის თვალის ფიქციის ტექნოლოგიურ ექვივალენტად!დრონი ციდან ხედავს





და თავისი რაკეტებით როგორც ელვით აცამტვერებს მოსასპობ „საშიშ ინდივიდებს“. მკვლევარი ლაპარაკობს დრონების მიერ განხორციელებულ მუდმივ მეთვალყურეობაზე რისი მიზანიცაა საშიში ინდივიდების გამოვლენა. ის აღწერს ადამიანებს შორის შესაძლო „არანორმალურ ქცევათა“ ავტომატიზებულ გამოვლენას. დრონები მეთვალყურეობენ და სპობენ. მიმდინარეობს საშიშ პიროვნებებად მიჩნეულთა ულმობელი დევნა და საბოლოო ანგარიშით მოსპობა. ზოგჯერ კლავენ სულ უცნობებს რომელთა საეჭვო ან ასე ვთქვათ არანორმალური ქცევა გვაფიქრებინებს რომ ისინი ეკუთვნიან რომელიმე ტერორისტულ ორგანიზაციას...ისინი ვინც ამართლებენ და აკანონებენ ახალ სამხედრო ტექნოლოგიებს, დრონებს წარმოადგენენ როგორც განსაკუთრებით ჰუმანიტარულ იარაღს. არა და მიმდინარეობს შეიარაღებული ძალადობის გლობალიზაცია, ეს ძალადობა კარგავს ტრადიციულ საზღვრებს. მთელი მსოფლიოში, შეიარაღებული კონფლიქტების ზონების გარეთაც ხდება „ სანადირო ტერიტორიის მითვისება“. ეს პოლიციური ლოღიკა ახდენს ანტიტერორიზმის პრობლემის ინდივიდუალიზაციას და გამორიცხავს კონფლიქტების რამენაირ პოლიტიკურ მოგვარებას. აღარ ებრძვიან მტერს, „ მას კლავენ როგორც კურდღელს“ და, ჩამაიუს თქმით, მტრისთვის ბოლოს მოღება საკუთარი თავის საფრთხეში ჩაუგდებლად. ამიტომ იზრდება სამხედრო შეიარაღებაში დრონთა რაოდენობა. გვიმტკიცებენ რომ დრონებს შეუძლიათ ზუსტად დამიზნება და სწორედ ბოროტი კაცის მოკვლა და ამით თავიდან აცილებულია გაუთვალისწინებელი არასასურველი შედეგები ანუ მშვიდობიან უდანაშაულოთა ხოცვა. მაგრამ ავტორი გვეუბნება რომ ეს სულაც არაა ასე.

დრონის მომხრეები მტერს ართმევენ ბრძოლის მატერიალურ საშუალებას. ასიმეტრიული ომის მოდელიდან გადავედით ცალმხრივი მკვლელობის ურთიერთობაზე და გაქრა „უდანაშაულოდ მოკვლის“ უფლების კლასიკური ფუნდამენტიც. და თუ ომი გაქრა „კლასიკური“ პოლიციური მოდელიც აღარ შეესაბამება დრონის ოპერატორის პრაქტიკას. იმიტომ რომ პოლიციური მოდელი გულისხმობს კრიმინალის დაპატიმრებას და არა მის გაუსამართლებლად მოკვლას პროფილაქტიკური პრევენციული მიზნით. დრონიზაცია გარდაქმნის როგორც შეიარაღებული ძალადობის და მტერთან ურთიერთობის, ისე სახელმწიფოს თავის საკუთარ ქვეშევრდომებთან ურთიერთობის ფორმებს. ჩამაიუ გვიხატავს სავარაუდო მომავალს, რომელზეც ჩვენ არ ვახდენთ რეაქციას, ქალაქის თავზე დაფრინავენ საჰაერო პოლიციის მობილური და შეიარაღებული მანქანები! მეტიც, რობოტიზაცია აძლიერებს გადაწყვეტილებათა მიღების ცენტრალიზაციის ტენდენციას, ხელქვეითი ოპერატორები კარგავენ ავტონომიას იერარქიის უმაღლესი ეშელონების მიმართ, რაც სახელმწიფოს აძლევს ჯარში დისციპლინის ძველი პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას. დაუმორჩილებლობა შეუძლებელი ხდება.

ესაა, მაშ, იარაღი რომელსაც არ სჭირდება პილოტის ფიზიკური ყოფნა. ცნობილია არგუმენტებიც რომლებითაც ხოტბას ასხამენ, აქებენ და ადიდებენ ამ იარაღს, დრონი იძლევა ცოცხალი ძალის დანაკარგის შემცირების საშუალებას, ის მიდის ჯარებისთვის მიუწვდომელ ადგილებში და მისი ეგრედ წოდებული ქირურგიული, ზუსტი დარტყმები ამცირებს გაუთვალისწინებელ ზარალს. ასეთი არგუმენტებით გახარებულმა აშშ-ს არმიან 2005–2011 წლებში 1200%-ით გაზარდა დრონების რაოდენობა. ითქვა. რომ 2004–2012 წლებში დრონებმა მოკლეს 2640–3474 მტერი. აშშ-ს არმიის „ დრონიზაცია“, მაშ, არც შემთხვევითია და არც გასაკვირი... კვლევა საინტერესოა არა მარტო ციფრებით ის გვიჩვენებს თუ რამდენად შეძრა დრონმა ჩვენი წარმოდგენები ომზე, გვიჩვენებს მომავალს როდესაც ომი და მშვიდობა განურჩევლად ითქვიფება ერთმანეთში. არსებობდა ომის ეთიკა. რომლის თანახმადაც ჯარისკაცს რომელსაც შეეძლო მოკვლა საფრთხეში უნდა ჩაეგდო თავი. ისიც შეიძლებოდა მოეკლათ. მსგავსი აღარაფერია ეხლა. დრონებმა მოკლეს ომის რაინდული ეთიკა. დრონების ოპერატორები ათასობით კილომეტრით არიან დაშორებულნი იმათგან ვინც უნდა დახოცოს მათმა დრონმა და მათ რბილად რომ ვთქვათ ბევრი არაფერი ემუქრებათ. მეომრული დუელის ცნებას აღარ აქვს აზრი. ეხლა არის ციდან მკვლელი მონადირე. დავუმატოთ რომ დრონები კლავენ როგორც ღია ომის ველზე (მაგ ავღანეთში) ისე, ისეთ ქვეყნებში როგორებიცაა სომალი, იემენი, პაკისტანი... რა უნდა დავარქვათ ოპერაციებს იმათ წინააღმდეგ. ვინც არიან მოქალაქეები ქვეყნებისა რომლებიც არ არიან მტერ ქვეყნებად გამოცხადებულნი? ამას შეიძლება დაერქვას მკვლელობა. რაც შეეხება დრონის სიზუსტეს, ის არაა გარანტირებული.

ახალი დევიზია „თვალთვალი და მოსპობა”, და არა „თვალთვალი და დასჯა“ ესაა ერთგვარი სიკვდილით დასჯა წინასწარი სასამართლოს და ადვოკატის გარეშე. დიქტატურისთვის ეს ჩვეულებრივი რამეა, დემოკრატიისთვის ეს პრობლემაა. 2013 წლის მაისში პრეზიდენტი ობამა იძულებული იყო ეთქვა, რომ დადგენილი იქნებოდა დრონების გამოყენების უფრო მკაცრი წესები, თუმცა პირობა არ შესრულდა... დრონი არის ათასობით კილომეტრით მოშორებით მყოფი ადამიანის მოკვლის იარაღი. შენ მას დაინახავ, ის შენ ვერ დაგინახავს. შენ შეგიძლია მისი მოკვლა, მას არ შეუძლია შენი მოკვლა ან დაჭრა. ეს არაა რაინდული და ვაჟკაცური დაპირისპირება. ადამიანს კლავ როგორც ბუზს. დრონი არის „ადამიანზე პრევენტიული ნადირობის სიმბოლო და არა ომის იარაღი. ტახთან არ ომობ, ტახზე ნადირობ, ნადირობ მწყერზეც ასეა აქაც.

ჩამაიუს აზრით, დრონის თეორია და პრაქტიკა არის უპასუხისმგებლობის მეფობა. ციდან კლავს თავის ყოვლისშემძლეობაში და ყოვლისმცოდნეობაში დარწმუნებული მარიონეტისტი, კლავს იმას ვისაც არც დამალვა შეუძლია და არც პასუხის გაცემა. არ ომობენ დრონის წინააღმდეგ. მტრად მიჩნეული ადამიანი აღარაა მტერი დრონის ოპერატორი ადამიანს კლავს ისე როგორც კლავს ბუზს. ავტორი ნაშრომს ამთავრებს რეჟისორ ჯეიმს კემერონის საკულტო ფილმის ტერმინატორის აპოკალიპტური სცენარის ხსენებით. ამ ფილმში მკვლელი რობოტები ბოლოს და ბოლოს სპობენ მთელ კაცობრიობას...ჩამაიუ მოგვიწოდებს სიფხიზლისკენ და ახალი სამხედრო ტექნოლოგიების კრიტიკისკენ...



**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# facebook ომები ქართულ სოციალურ სივრცეში





**გასული კვირის ფეისბუქ-ომების თემატიკა ძირითადად, ახალ პრემიერ მინისტრის პერსონას და მთავრობის განახლებული შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადებას ეხებოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ხელისუფლების მხარდამჭერები გახარიას გაპრემიერებას ოვაციებით, მოწინააღმდეგეები კი მოახლოვებული აპოკალიფსის მაუწყებელი პოსტებით შეხვდნენ და ერთმანეთის ყველა ამქვეყნიურ ცოდვაში მხილების შემდეგ, დროებითი ზავი გააფორმეს.**

**არანაკლები ვნებათაღელვა მოჰყვა 8 სექტემბერს, პარლამენტის შენობასთან სამოქალაქო მოძრაობა „სირცხვილიას" აქტივისტებისა და „პატრიოტთა ალიანსის" წევრის, ემზარ კვიციანის დაპირისპირებას.**

**ჟურნალი „ტაბულას" მთავარი რედაქტორი, ჟურნალისტი თამარ ჩერგოლეიშვილი ინცინდენტს სოციალურ ქსელში გამოეხმაურა და ხელისუფლებას ემზარ კვიციანის დაკავებისკენ მოუწოდა:**

„ქოცებო ეს თქვენი მოკავშირე ველური ნაგავი დააკავეთ! მართლა სანანებელი გაგიხდებათ, დავიგინები! ტყუილად ხომ არ ვიმუქრები ხოლმე – ალბათ შეგიმჩნევიათ" – **დაწერა ჩერგოლეიშვილმა ფეისბუქში.**

**კვიციანისა და „სირცხვილიას" წევრების დაპირისპირებამ „რესპუბლიკური პარტიის" წევრი დავით ბერძენიშვილი საბრძოლო განწყობაზე დააყენა:**

„ემზარ, როგორ დაგერხევა, რო იცოდე!" – **ასე გამოეხმაურა ბერძენიშვილი პარლამენტის შენობასთან მომხდარ ინციდენტს.**



**ყოფილი პარლამენტარი ხათუნა ხოფერია სოციალურ ქსელში წერს, რომ „პატრიოტთა ალიანსის" წევრი პროვოკაციის მსხვერპლი გახდა:**

„თმენის ვალდებულება რას ნიშნავს, რის თმენაზეა საუბარი და რა დოზით, ეს სადმე წერია? ვინმემ თუ იცის, რომელი კანონი არეგულირებს ამ ვალდებულებას?! რატომ არავინ ამბობს, რის მოთმენას გვავალდებულებს კანონი? ქუჩაში ოცი კაცი რომ მოგსდევს, გისტვენს, მოღალატეს და მონას გეძახის, ასე უნდა ითმინო? არც პოლიცია უნდა დაგეხმაროს და არც არავინ? და როდემდე? მონა და მოღალატე შეურაცხყოფა არ არის? ასე შეიკრიბება ოცი თავზეხელაღებული და ნებისმიერ ადამიანს გადაიყვანს ჭკუიდან."– **წერს ხათუნა ხოფერია.**

**გაცილებით ხისტი იყო შეფასებებში ჟურნალისტი ბაკურ სვანიძე, რომელიც აქციის მონაწილეების მისამართით უცენზურო**



**გამოთქმებსაც არ მორიდებია:**

„გიგა მაქარაშვილო! ***** შენნაირი ჩმორი ვირთხა როგორ ბედავს, რომ ემზარ კვიციანს „მონას" და „მოღალატეს" ეძახის შემძ**** ის კასრო! მიდი ერთი, ამას წინათ რომ მომწერე პირადად, კიდევ ერთხელ გაბედე და დამეკონტაქტე! მაშინ რომ ასე თუ ისე ვეცადე რაღაცეები ამეხსნა და ბევრი რამის გამო თავი შევიკავე, მეთქვა რაც ხარ შე მართლა ყ****ო! ახლა პირში უნდა გაგინო შენ და სათითაოდ ყველას, ვინც მანდ შენს გვერდით დგას!

„შვილის ტოლები არიანო" – ვინმე მეტყვის ახლა... უკვე მაგრად მკიდია ვისი ტოლები არიან! ის არ დამიწყოს ახლა აქ ვინმემ კიდე – ემზარ კვიციანი „ანგელოზი" არ არისო! ვიცი! ემზარ კვიციანი ვინც არის და რაც არის, თქვენზე კარგად ვიცი! მაგრამ მე იმ სახელმწიფოს დედას ****, სადაც მაქარაშვილის და მშვილდაძის ნაირი ჩამ***ბი ემზარ კვიციანისნაირ კაცს ებლატავებიან! მოკიდეთ ხელი ამ ჩმორებს და პირდაპირ შეუშვით კოდორის ხეობაში და დატოვეთ იქ! ვნახო ერთი როგორ „დაუფშტვენენ" რუს და აფხაზ „ბოევიკებს"! მართლა უნდა გავიდეს იქ ხალხი და მათი საყვარელი მიშას მეთოდით ტ***ში უნდა გათხაროს ის შვიშტოკები ამ დედა****ბს! „გირჩის" საბუთები აქვთ ტ***ში გარჭობილი, რომ ემანდ 6 თვე ჯარში არ წასულიყვნენ და პატარა დისკომფორტი არ შექმნოდათ და მეომარ, ნაბრძოლ, ნაწამებ ადამიანებს „ლაჩარს" ეძახიან! „ქართული ოცნება" – როდემდე უნდა დაგვაკავოთ? მიგვიშვით ერთი, ნუ გეშინიათ, არ ვცემთ! მაგათ თვითონ რომ 50 არიან და სხვა მარტოა, მაშინ აქვთ დიდი გული! თორემ როგორც კი იქ ათასობით ადამიანს დაინახავენ კუილივით გაიპარებიან! უბრალო ერთი ისე შევაშინებთ, რომ მთელი ცხოვრება სიზმარში საკუთარი დედის **** ელანდებოდეთ ამ ყვერჩიტებს! და ბოლოს, აუცილებლად მინდა გავიმეორეო – მანდ ვინც დგახართ, ყველას სათითაოდ მო****თ დედის ****, განურჩევნად სქესისა, ასაკისა და სხვა ნებისმიერი ფაქტორისა! თქვენ ხართ საქართველოს ყველაზე საშიში მტრები!" – **წერს ბაკურ სვანიძე.**

**რაც შეეხება ინციდენტის მთავარ მოქმედ გმირს და მის პოზიციას, ემზარ კვიციანმა აქცია „სირცხვილიას" წევრებთან მომხდარი დაპირისპირებაზე სოციალურ ქსელში დაწერა და განმარტა, რომ ის აქციის მონაწილეებთან არ გასულა, არამედ თავად დახვდნენ ქუჩაში.**

„რატომ აწვდით მოსახლეობას ცრუ ინფორმაციას?! მე მათთან არ გავსულვარ! ისინი დამხვდნენ ქუჩაში! ტაქსი გამოვიძახე, პარლამენტთან ამოსასვლელი გზა გადაკეტილი ჰქონდათ პოლიციელებს მომიტინგეების გამო, ამიტომაც ვერ ამოვიდა და დამირეკა რომ ქვევით ვდგავარო, მეც წავედი ჩემი გზით! რომ მივდიოდი ბოკერია სააკაშვილის ჯგუფი იდგა მარჯვენა შესასვლელთან. მე მათ არცერთს სახეზე არ ვიცნობ იმ მაქარაშვილის გარდა, ის მყავს ტელევიზიით ნანახი. მოკლედ, რომ მივუახლოვდი მივესალმე აქეთ პოლიციელებს და იქეთ აქციის წევრებს და გავაგრძელე გზა. მოულოდნელად შემომესივნენ და დაიწყეს სტვენა შემომეხვივნენ და დაიწყეს შეურაცმყოფელი სიტყვების ყვირილი პირდაპირ ყურში – მოღალატე, რუსეთის მონა, პუტინის მონა და ერთერთმა გოგონამ ყ**ო შემომძახა. ეს ახალგაზრდები არ ადგანან სწორ გზას! მე რომ ნაკანტუზიებ ყურებში მისტვენ და მოღალატეს მეძახი იქნებ თუ წიგნებს გიმალავენ იკითხო მაინც რამდენი სისხლი დამიღვრია ომში რამდენი რუსული ვერტმფრენები და სხვა ტექნიკა ამიფეთქებია ბრძოლაში! რატომ აყენებთ ცოდვაში ბავშვებს? არ გრცხვენიათ? ბერძენიშვილი დათოს შვილს იქნებ ვინმემ უთხრას მე თუ მოღალატე ვარ მამამისმა და ბიძამ რატომ მოაწერეს ხელი ჩემს განთავისუფლებაზე? ნუ აცხოვრებთ შვილებს სიცრუეში თქვენვე მოგიბრუნდებათ ცუდად!" – **წერს კვიციანი.**

ემზარ კვიციანის დამ, **ნორა კვიციანმა** ფეისბუქში სტატუსი



გამოაქვეყნა, რომლიდანაც ჩანს, რომ ძმასთან დაკავშირებულ ინციდენტში ხელისუფლების დანაშაულსაც ხედავს.

„ხელისუფლებავ, რა სამწუხაროა ყველაფერ უმსგავსოებას მწვანე აუნთეთ, ღირსეული უღირსოა, უღირსო ღირსეული! მოღალატობა პატრიოტობა, ღირსება, ეროვნულობა, სიპატიოსნე და რასაც ქვია ნამდვილი ღირსეული ქართველობა სირცხვილია, და ატარებიებთ სირცხვილის კორიდორში! როდემდე ეს უმსგვსეობა!? რაც პარლამენტთან გუშინ იკადრეს, პარლამენტარზე, თავდასხმა ეს არამარტო ემზარზე იყო არამედ ყველა პარლამენტარზე, ყველა ღირსეულ ადამიანზე, ვინ ხართ რა ხართ, რა გინდათ, ვის უწოდებთ მოღალატეს, მოღალატე რომ იქნებოდა ყველაფერში მწვანე ექნებოდა ანთებული, თქვენთვისაც ღირსეული იქნებოდა, ქონება რომელიც უკანონოდ წართვეს, ავად სახსენებელ ხელისუფლებამ დაბრუნებული ექნებოდა, კაცს რომელსაც ამდენი უბედურება აქვს გადატანილი, ხვდებიან და შეურაცყოფას აყენებენ შვილების ტოლი ახალგაზრდები, ის კიდევ ყველაზე მწყობრიდან გამოყვანის ძახილით, მოღალატე ამ ძახილით კარგად იცოდით, რომ მწყობრიდან გამოიყვანდით, და კიდევაც გამოიყვანეთ წონასწორებიდან, სამწუხაროდ თქვენს მიერ დაგეგმილ პროვკაცის მსხვერპლი გახდა!მადლობა უფალს, ამ მცირედი იცინდეტით ჩაიარა, ალაგმეთ ეს პროვოკაციული ვითომ პროტესტი სანამ უარისი არ მომხდარა, ერთხელ და საბოლოოდ დაგვასენეთ, დავიღალეთ ყველაფრისგან, დაერქვას ყველას და ყველაფერს თავისი სახელი! საზოგადოებას ბოდიშს უხდი, წყობრიდან გამოსული ემზარ კვიციანზე, მეც ვერ ვიცანი! უფალმა გაგვინათოს გონება, ბოლომდე რომ არ დაგვიპყროს ბოროტმა ძალებმა, ყველანი ერთნი ვართ! უფალმა დაგილოცოს!" – **წერს ნორა კვიციანი.**

კიდევ ერთი ფეისბუქ-ომი, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიქცია, კომედი ჯგუფის მსახიობ **ვასო ფხაკაძესა** და ჟურნალისტ **კოტე ინაშვილს** შორის გაჩაღდა. ყველაფერი იმიოთ დაიწყო, რომ ფხაკაძემ „პატრიოტთა ალიანსის" ლიდერებს, დავით თარხან-მოურავსა და ირმა ინაშვილს შეურაცხყოფა მიაყენა მას შემდეგ, რაც თავისი სახლის კარში „პატრიოტთა ალიანსის" გაზეთები აღმოაჩინა:

„პრ*** რუსულებო ჩემს კარებში მეორედ არ გაბედოთ რომ გაერჭოთ!!! თქვენი ადგილი პუტინის ტ***შია და იქ გაერჭვეთ" – **დაწერა ფხაკაძემ.**

**ვასო ფხაკაძის ფეისბუქ პოსტს ირმა ინაშვილის ძმის, ჟურნალისტი კოტე ინაშვილის მხრიდან მწვავე გამოხმაურება მოჰყვა:**

„ამ მასხარა კარიკატურული ფიგურისაგან, შეიძლება რამე გეწყინოს? პრ***ის ჭია რომ ჰაერზე გაშეშდება და კვდება, მაგიტომაც ცხოვრობენ შიგ და ამიტომაც აქვთ ძალიან ღრმად – შიგ. მაგრამ ბოკერიას ჭიები ისეთი მუტანტები არიან, თვით პატრონსაც კი ჯობნიან იმუნიტეტით... ანუ, როდესაც ბოკერია და მისი კნეინა ბრაზობენ, როგორც „პოლიტ ელიტა", ვითომ ამ ბრაზს არ იმჩნევენ და ამ დროს რთავენ საქმეში კოაბიტირებულ პრ***ის ჭიებს. ეს საკითხი გარდა ლოგიკისა, ფუნდამენტურად არის ისევ ნაცარქექია ნაცქოცების ერთობლივი, თუ ცალცალკე დივერსიული შემოტევების ფასადური ფაფხურით განმტკიცებული. 2020 ში, თქვენ წახვალთ პრ***ში. ასე რომ დაცინეთ სააკაშვილ –



ბოკერიას და იქნებ კოაბიტაციის პლაცდარმა გიშველოთ და რომელიმე სოც-არხზე მოხვდეს თქვენი უნიჭო ხუმრობა. ბოლობოლო ცირკი ისევ თავის ადგილას დგას და თქვენი ადგილიც იქნება იქვე ბუჩქნარში. ბოზი ქალების სამოსი კი გაქვთ ბლომად და არც არაფერზე იტყვით უარს" – წერს სოციალურ ქსელში კოტე ინაშვილი.

**ნელი თორდია**
571 35 36 88

# პირადი ჰიგიენიდან მორალამდე: საინტერესო ფაქტები ეგვიპტის შესახებ

როდესაც წინაპრებზე ვფიქრობთ, გვეჩვენება, რომ ჩვენ მათზე უკეთ ვერკვევით ცხოვრებისეულ საკითხებში, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი სულ სხვაგვარად არის. ავიღოთ, მაგალითად, ძველი ეგვიპტელები, ისინი დიდ ცოდნას ფლობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათმა ცივილიზაციამ განვითარების პიკს დაახლოებით ოთხი ათასი წლის წინათ მიაღწია. მათ შეეძლოთ მოსახლეობის რაოდე-



ნობაზე კონტროლი, ფლობდნენ მაკიაჟის ხელოვნებას, ბრწყინვალედ იცოდნენ მათემატიკა და ასტროლოგია.

ძველი ეგვიპტელების განსწავლულობა დღესაც გაოცებას იწვევს.

## პირადი ჰიგიენა

ეგვიპტელები ზრუნავდნენ ჰიგიენაზე, რადგან, მათი აზრით, ღმერთების სამსჯავროზე გაპარსული და თმის საფარისგან გასუფთავებული უნდა წარმდგარიყვნენ. ამიტომ არისტოკრატები და მდიდრები მთელ სხეულს იპარსავდნენ, რაც კანის დაავადებებისგან და პარაზიტებისგან იცავდა მათ.

სქესისა და სოციალური სტატუსის მიუხედავად, ძველი ეგვიპტის მცხოვრებლები კოსმეტიკას იყენებდნენ. კოსმეტიკური საშუალებების უმეტესობას ცხიმოვანი საფუძველი ჰქონდა, რომელიც მიიღებოდა ხილის, კაკლის და თხილის დაპრესვის შედეგად. ისინი ასევე იყენებდნენ თიხისგან ან ნაცრისგან დამზადებულ საპონს.

იყენებდნენ დეპილატორებს, რომლებიც სპილენძის, სანთელის და მცენარეების წვენისგან მზადდებოდა და გამოყენების იგივე პრინციპი ჰქონდა, როგორც დღეს.

რაც შეეხება თმას, ეგვიპტელები თმაში ცხიმს იზელდნენ ან იპარსავდნენ და პარიკს ატარებდნენ. პარიკი გამოიყენებოდა მზისგან თავის დასაცავადაც.

მზისგან თავის დასაცავად ძველმა ეგვიპტელებმა გამოიგონეს სათვალე. ფარაონ ტუტანჰამონის მზის სათვალე დამზადებული იყო დამუშავებული ზურმუხტის ფირფიტებისგან, რომელსაც ბრინჯაოს ჩარჩო ჰქონდა.

## შობადობაზე კონტროლი

ეგვიპტელებმა გამოიგონეს პრეზერვატივები ჯერ კიდევ 3000 წლის წინათ. ისინი დამზადებული იყო ფერადი ქსოვილისგან და გაჟღენთილი იყო ზეითუნის ზეთით. სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებებისგან თავის დაცვის მიზნით კი ეგვიპტელები იყენებდნენ ასევე ცხვრის ნაწლავისგან დამზადებულ მემბრანებს.

## მაკიაჟი

ძველ ეგვიპტეში მამაკაცებიც და ქალებიც რთულ მაკიაჟს იყენებდნენ. თვალებისთვის ყველაზე



ხშირად გამოიყენებოდა მწვანე და შავი ფერები. თვალის მწვანე საღებავის მისაღებად მალაქიტის ფხვნილი, ხოლო სახისთვის ბრინჯისგან დამზადებული პუდრა გამოიყენებოდა. კოსმეტიკა კი დამზადებული იყო სპილენძისგან ან კალისგან. ადამიანებს სჯეროდათ, რომ მაკიაჟს სამკურნალო ძალა გააჩნდა, მაკიაჟი დაეხმარებოდა მათ ღმერთი გორას წინაშეც, რომელიც დაცვას, სამეფო ძალაუფლებასა და მყარ ჯანმრთელობას განასახიერებდა.

## მედიცინა

ზეთი, ცომეული, ფინიკი, ხახვი, ნიორი, სელის თესლი, კამა, ოპიუმი, ასევე სხვადასხვა მინერალები, როგორიცაა ტყვიის შემცველი მარილები, სტიბიუმი და სპილენძი ძველ ეგვიპტეში სამკურნალო საშუალებებად გამოყენებოდა. მკურნალობდნენ ასევე სხვა „მედიკამენტებითაც“, როგორიცაა ცხოველების ხორცი, ტვინი და სისხლი. ყველა ამ „პრეპარატს“ ან ხარშავდნენ, ან სვამდნენ რძესთან, ღვინოსთან ან ლუდთან ერთად. მათი შეხედულებით, მკურნალობა გემრიელი უნდა ყოფილიყო.



ეგვიპტელები იყენებდნენ კბილის პლომბს, რომელიც დამზადებული იყო ფისისგან და მალაქიტის ფხვნილისგან.

კბილის პასტა, რომელსაც 2000 წლის წინ იყენებდნენ ძველ ეგვიპტეში, შედგებოდა პიტნის, მარილის, წიწაკის და ზამბახის გამხმარი ყვავილებისგან.

ძველ ეგვიპტეში ამზადებდნენ კბილის პროთეზებსაც.

## კალენდარი

მათემატიკის გარდა, ძველმა ეგვიპტელებმა საკუთარი კალენდარიც შექმნეს. კალენდარი სამი სეზონისგან და 12 თვისგან შედგებოდა, რომელთაგან თითოეული 30 დღეს მოიცავდა.

## კონდიციონერი

სახლებში სიგრილის შესანარჩუნებლად ძველი ეგვიპტელები კარებებსა და ფანჯრებზე სველ ქსოვილს კიდებდნენ. მათ საცხოვრებლებში ქარიან ამინდშიც ნარჩუნდებოდა სიგრილე.

## მათემატიკა

ძველი ეგვიპტელები ავითარებდნენ მათემატიკას დაახლოებით 5 ათასი წლის წინათ და იყენებდნენ იეროგლიფებსა და იერატიკებს, რათა ყველაფერი ჩაეწერა თ. ძველეგვიპტელების მათემატიკური ოსტატობის ყველაზე დამაჯერებელი მაგალითი აბუ-სიმბელის ტაძარში შეგიძლიათ ნახოთ. ფარაონ რამზეს II-ის და ღმერთების — ამონისა და რას გამოსახულებებს წელიწადში მხოლოდ ორჯერ ასხივოსნებს მზის სხივები. მართლაც საოცარი გამოთვლებია, არა?

## მორალი

ძველი ეგვიპტის მაცხოვრებლებს მორალისა და სამართლიანობის. ძალიან ძლიერი გრძნობა ჰქონდათ. მათ სჯეროდათ, რომ სიკეთე უნდა ჰყვაოდეს და დამნაშავეები უნდა დაისაჯონ. მიუხედავად ამისა, ისინი აღიარებდნენ,



რომ ადამიანები სრულყოფილები არ არიან, ამიტომ ყველაფერში ცდილობდნენ ბალანსის დაცვას.



## ინვალიდებისადმი დამოკიდებულება

ძველ ეგვიპტეში ინვალიდებს პატივისცემით ეპყრობოდნენ. მათ ხშირად ნიშნავდნენ სერიოზულ თანამდებობებზე, ასევე მათ ანდობდნენ მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო სამუშაოებს, როგორიცაა, ოქროს დამუშავება. ჯუჯად დაბადებული ეგვიპტელები ღმერთისგან დაჯილდოებულად ითვლებოდნენ და მათ განსაკუთრებული კეთილგანწყობით ექცეოდნენ.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ
შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983